6994

ნაკადული

სკოლამდელი ასაკისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

1917

ბ ა ი ბ ი, № V.

მოზრდილთათვის

წაკაფული

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მე-XIII. № 5. 1917 წ.

ორატორი

F-5814 298

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ორატორი,—სურათი 1

II—ზაფხულის წვიმა,—ლექსი ი. სიხარულიძისა 3

III—ღრუბლების ნაჭერი,—ტქვიტისა 5

IV—ხელოვნების ქურუმი,—დასასრული, დ. კიდოსანიძისა. 9

V—გარდახვეწილი,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა 23

VI—ბატონიშვილი და ლალა,—(ხალხური ზღაპარი) ჩაწერილი ი. ტატიშვილის მიერ 25

VII—შავ ტუანეტას შვილობილი,—მოთხრობა ჯემისონისა, (შემდეგი) თარგმანი დათიკო ანთაძისა.....31

VIII—ძველი რუსეთი ⁄ რევოლიუცია, —ვ. კოტეტიშვილისა 53

IX—საურთიერთო დახმარება,—შედგენილი ილია ნაკაშიძისაგან.. 57

X—გასართობი: ხუთი კვანძი,— ისე რაჭველისა. რებუსი და ახსნა 61

სტამბა-ლიტოგრაფია კავკასიის რკინის გზისა, ტფილისი 1917 წ.

ზაფხულის წვიმა

ამჟვირვალე ცის ლაჟვარდი
ყომრალ ღრუბლით მოიბურა;
ცა ატირდა, მარგალიტი
დააფრქვია, დააპკურა;

ცაში ცეკვავს მიწის ცრემლი,
წვეთებს მოსდევს ძირს წვეთები;
მწყობრი რხევით ეშვებიან
მიწისაკენ წყლის სვეტები;

ტყის კაბაზე წყლის ფერხულმა
ფოთლებს გული აუთრთოლა;
ტყე შეირხა, აცახცახდა,
ძირს მძივები დააბროლა;

ყვავილს, ბალახს დააყარა,
მოაბნია თავზე ფრთხილად,
ყელსაბამად ჩამოჰკიდა,
ზოგს თითო და ზოგსაც წყვილად.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

გახალისდა არემარე,
გამოფხიზლდა მთა და ველი;
მთებში წყლები ახმაურდნენ,
ისმის რაღაც ღრიანცელი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშხუიან ბარისაკენ,
მწყობრი სრბოლით დარაზმული,
და გაულბა მიწას მკერდი,
გაუგრილდა მიწას გული.

ი. სიხარულიძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრუბლის ნაჭერი



ურჯ ცის სიღრმეში ერთად-ერთი პატარა ღრუბლის ნაჭერი საიდანღაც ობლად დაბადებულიყო და დაუსრულებელ ცის კამარას საოცნებოდ ამშვენებდა. ხან ახლად გაფურჩქვნილ, მორცხვ და კეკლუც თეთრ ვარდივით ამოიბეჭდებოდა, ხან დაბასმულ ლეჩაქივით გაცრიაგდებოდა, ხან ისევ შეიკუმშებოდა, თითქოს მარმარილოსაგან გამოქანდაკებულ მშვენიერ სახეს მიიღებდა და მიჰქროდა; საღამო ჟამზე აღმოსავლეთით მიაშურებდა, რომ ბრწყინვალე და მშვენიერ მარეხს წინ სადიდებლად მიჰგებებოდა. ზოგჯერ არშიის მზგავსად ამოქარგული მიჰქროდა და მაღლიდან უკვე ბინდით მოცულ ქვეყანას უხმოდ ამას უამბობდა:

— დიდ ოკეანეს მდრტვინავ მღერას, მის ძლიერ ქუხილს და განუწყვეტელ მუსიკას მხოლოდ მისთვის გამოვეთხოვე, რომ დავისვენო. იქ რომ ვიყავ, ფერადებით აყვავებულ დედამიწას ყურს რომ ვუგდებდი, ყოველივე ხმა სულს ისე მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შფოთებდა, რომ ფართო სამყარო მავიწროვებდა, თავისუფლად ველარ ვსუნთქავდი და მუდამ იქ, ამ სიმაღლისკენ მოვისწრაფოდი.

ახ, რომ იცოდეთ—რა ტკბილი იყო და იმავ დროს რა ძლიერ მწვავე აქ მისწრაფება, რომ იცოდეთ—რა მოუსვენრობას განვიცდიდი, როდესაც სიზმრად თავისუფალ ცის ლურჯ სივრმეს ვხედავდი, იმ სივრმეს, რომელსაც მხოლოდ მზის, მთვარის და მოციმციმე ვარსკვლავთა სამყოფელი ეწოდება.

მაგრამ სურვილი მაშინ უფრო მიმწვავდებოდა, როდესაც მარეხს, ყველაზე ადრე დიდებულად გაბრწყინვებულ მარეხს დავინახავდი. იმისი თავისუფალი, დაუწყნარებელი ციმციმი სრულ შვენებასთან ერთად მუსიკას ჰქმნიდა და ის უფრო მაღელვებდა... ყოველ დღე და ყოველ ბინდისას, მის ამოსვლის ჟამს ბაგენი ჩემნი მუდამ იმას ღაღადებდნენ, იმას ნატრობდნენ, რომ ოდესმე ამობრწყინებულს წინ შევყოდი, მის მშვენიერ სახეს გარს ლეჩაქივით შემოვხვეოდი, რომ იმისი შუქი ათასნაირად ამეფერადებინა და იმ თვალწარმტაც სანახავით ქვემოდ, დედამიწაზე ყველასთვის ისეთივე სიყვარული და მისწრაფება გამეღვიძებინა, რასაც მე ვგრძნობდი, რითაც ვცოცხლობდი...

აი, ჩემი ცხოვრების შვენება და მიზანი მხოლოდ ეს იყო, და ამისათვის ღელავდა გული. მაშ გადმიშვი, მთაო, ოდნავადაც ნუ შემაჩერებ, ნურც შიკრიკად ნიავს სადმე შემახვედრებ, რადგან ხედავ—რანაირად მივეჩქარები, რანაირად ვთრთი და ვკანკალებ; ჩემივე გულის სიმღერა ყურებს მიყრუებს, რადგან მზემ დიდხანს ზღვას იქით გადაიხარა და მოახლოვდა, საცაა მთიდან ცეცხლივით ამოაშუქებს...

თმა-ხუჭუჭა, ლამაზო ტყეო, თუ გსურს, რომ შენს ნაძვნართ მარგალიტებად ოდესმე კიდევ ვეპკურო, თუ გსურს შვიდ-ფეროვან გვირგვინებით შენი იფნები მზის ამოსვლისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ მოვქარგო, გამიშვი, ხმასაც ნუ გამცემ, ნურაფერს მეტყვი; სული ისედაც მრავალ ამბებით მაქვს დატვირთული. გამიშვი, რომ ყოველივე იმას ვუამბო, ის გავაოცო და იმას ვუმღერო ის საიდუმლო ზღაპარი, რომელსაც გულით მხოლოდ მისთვის ვატარებდი. გამიშვი, რომ იმ ამბით უფრო ძლიერ გავაბრწყინო და გავალამაზო, შემდეგ შარავანდედით შემოსილს გარს შემოვევლო, მეც გავმშვენდე და შემდეგ თუ გინდ იქავე გავქრე...

ასეთი ლოცვით აღემართა დედამიწიდან ქუდა ღრუბელი და გასწია შორს, აღმოსავლეთისაკენ. მიჰქრის ობლად, მთელი ძალ-ღონით ვარსკვლავისკენ მიესწრაფება და თავის გულნადებს სხვა-და-სხვა სახით ლურჯ ცაზე ხატავს.

განვლო ერთი მთა, მრავალ ხევ-ხუვს ქარივით გადაურბინა, და აჰა!—საცაა კიდეც მიაღწევს.

დასავლეთს ამ წამს ალისფერი ტუჩი კიდეც გაუცრიაგდა; აღმოსავლეთით კი ცა უფრო გაღრმავდა და ისე მოიბინდა, თითქო ნაღვლიანმა ფიქრმა მოიცვა მისი სახეო.

ყრუა ქვეყანა. გარშემო ყველა ძილისათვის გაემზადა და გაყუჩდა. სიო ცაში ბაიათებს აღარ მღერის და ქვემოდაც აღტაცებით ფოთლები ტაშს აღარ უკრავენ.

დაწყნარდა ყველა. მხოლოდ თეთრი პატარა ღრუბლის ნაჭერი უფრო მოუსვენრად მიჰქრის და მიესწრაფება, რადგან ჟამი მოახლოვდა... აგერ ცა ერთ მხარეს კიდეც ნათდება. ცოტა კიდევ, და მარეხმა დიდებულად ამოანათა.

—მე, მშვენიერო!..—ამ დროს ცის წიაღში ყრუდ მოისმა გულგასაგმირი გამოძახილი და ის ჟამი იყო, რომ ამ ხმასთან ერთად სპეტაკი ღრუბელი ჯერ ლეჩაქივით გაცრიაგდა და შემდეგ უმალ სადღაც გაჰქრა ისე, რომ მისი ნასახიც აღარსად სჩანდა; გაჰქრა, ისე რომ ვერ ეღირსა სიმღერის თქმა, ვეღარ ეღირსა, რომ მრავალფეროვან შარავანდედათ თავს ნეტარებით შემოვლებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კი იყო, რომ მის სახსოვრად მხოლოდ ერთად-ერთი წვეთი ცრემლის მგზავსად ზეცას მოსწყდა, მაღალ მთაზე დარაჯივით გადმომდგარ ნაძვს დაეცა და ჩაფიქრებული გამოარკვია.

— ... და აი — ქვეყნად ყოველივე ასე ხდება, — ნაღვლიანად წაიდუდუნა მან, თან ერთი წუთით შეირხა და პირ-მოქუშული ისევ ჩაფიქრდა.

ტქვიტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიქელ ანჯელო.

ხელოვნების ძურუმი

(ისტორიული მოთხრობა*)

VIII

ამარჯვებული იულიუსი ჯერ ისევ ბოლონიაში იმყოფებოდა, როდესაც მიქელ ანჯელომ მოამზადა უკვე მისი თიხის მოდელი. პაპმ სრულიად მიივიწყა აკლდამა ტ აღფრთოვანებით ოცნებობდა თავის ბრინჯაოს აღალმაზე, რომელსაც უნდა დაემშვენებინა სან პეტრონიოს ეკლესიის ზედაპირი ბოლონიაში.

*) იხილე „ნაკადული“-ს მე-4 №.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაფიქრებული იჯდა მიქელ ანჯელო თავის ჩვეულ, ღარიბ, საძაგელ ოთახში! დრო-გამოშვებით უცქერდა შეძერწვილ მტარვალს და ხმა-მაღლა ელაპარაკებოდა თავის თავს:

— ახალი ხაფანგია, ქრისტეს გეფიცები! რომ არ დაიჯერა! აბა რა ჩემი საქმეა ბრინჯაოზე მუშაობა! განა ბრინჯაოს ჩამოსხმას ცოდნა არ უნდა?! ვინ დაგიჯერა!

— აბა ვნახოთ, ვნახოთ, საყვარელო შვილო, როგორ ადიდებ ქრისტეს მოადგილეს! — მოისმა მოულოდნელად ხმა იულიუსისა, რომელიც მოვიდა სახელოსნოში ალალმის სანახავად. პაპი მაკურთხევლად იყო გამოსახული, ხოლო მარცხენა ხელი თავისუფალი ჰქონდა, რადგან ხელოვანმა არ იცოდა — რა მიეცა მისთვის ხელში.

— წმიდაო მამავ, წიგნს ხომ არ დაიჭერთ ამ ხელში? — შეეკითხა მიქელ ანჯელო.

— წიგნსა? — შეჰყვირა პაპიმ, — რა გამოსადეგია ჩემთვის წიგნი! ნასწავლი ხომ არა ვარ! მე მახვილი მჭირია, და არა წიგნი!

ცოტა ფიქრის შემდეგ მიჰმართა ისევ ხელოვანს:

— რას ნიშნავს ხელის გაქნევა: კურთხევას თუ წყევლას?

— მუქარას, თქვენო უწმიდესობავ! მუქარას ბოლოხიელთა მიმართ, უკეთუ ურჩობას გაჰბედავენ! — უპასუხა აჩქარებით ხელოვანმა, და არ იცრუა, რადგან მის წარმოდგენაში თვით ქრისტეს მოადგილესაც კი რისხვა უფრო შეეფერებოდა, ვიდრე კურთხევა.

კმაყოფილი მიდიოდა იულიუსი მიქელ ანჯელოს უბრალო სენაკიდან, მაგრამ ნაადრევი იყო მტარვალის კმაყოფილება. არ იმოქმედა არც მისმა მუქარამ, არც წმიდა პეტრეს გასაღებებმა, რომლებიც ხელოვანმა დააჭერინა მახვილის მაგიერ მარცხენა ხელში. ხალხთა მოძრაობის დროს ბოლონიაში 1511 წელს გადმოგდებული მაღალ ნიშიდან და დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვრეული ალალმა გარდასხმულ იქმნა ზარბაზნად, რომელსაც დაერქვა სახელად „იულიუსი“.

IX

უცნაური აღელვება ეტყობოდა მიქელ ანჯელოს: ხან გაწვებოდა სკამზე, ხან ჩვეულებრივი მოძრაობით მიეყუდებოდა თავხეს, ხან ყალამს დაავლებდა ხელს და მუშაობას მიჰმართავდა. არაფერი ჰშველოდა: უძლური იყო მისი ყალამი. მიქელ ანჯელო სიარულს იწყებდა ხარაჩოებზე, რომლებიც იმდენად ჰქონდა შესწავლილი, რომ დაუხედავად უვლიდა საშიშარ ადგილებს, თუმცა აღელვებას მისთვის თვალის სინათლეც კი გაეტაცა. ასეთი იყო ხელოვანი. სისხლი სიბრაზისაგან ყელში აწვებოდა. დრო-გამოშვებით ჩერდებოდა იგი, იქნევდა მუშტებს და წაილაპარაკებდა:

— დამაცალე, შე ლეკვო! მე გიჩვენებ შენ, რის ღირსია შვილი, რომელიც მუშტს უღერებს მამას! საზიზღარო!

— მესსერე*), მართალსა ბრძანებ, საზიზღარია ადამიანი, მაგრამ ამისათვის სისხლის ამღვრევა ტყუილ-უბრალოა! სჯობს საუზმეს მიხედო: არაფერს მიჰკარებიხარ დილიდან! მზადაა უკვე თბილ-თბილი პური და ლორი!—ეუბნებოდა ხელოვანს კოზიმო, რომელსაც არა ერთხელ ენახა ოსტატის გაშმაგება და გაეგონა მისი მონოლოგები.

— კმარა! როდესაც მე სიტყვა არ მყოფნის, საქმეს მივმართავ! აი უკვე თორმეტი წელია, რაც გლახაკის ყოფაში ვარ, ვხეტიალობ, ვთელავ იტალიის მიდამოებს, ვითმენ ათასგვარ დამცირებას, განვიცდი ყოველნაირ უბედურებას, ვაუძლურებ ჩემ სხეულს მძიმე მუშაობით, მრავალ საფრთხეში ვაგდებ სიცოცხლეს, მხოლოდ მისთვის, რომ შევეწიო ჩემს ოჯახს, ახლა კი, როდესაც მე ცოტაოდნად დავაყენე

*) ბატონო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ფეხზე, შენ ერთ საათში ანგრევ იმას, რასაც მე ასეთი ტანჯვით ვქმნიდი რამდენიმე წლის განმავლობაში! ღმერთია მოწამე! არა, ვერ მიაღწევ საწადელს.

მართალია, კოზიმო კარგად იცნობდა თავის ბატონს, მაგრამ მისგან ასეთ მრავალ მეტყველებას სრულიად არ მოელოდა. ალბად ნამეტანი ამაღელვებელი იყო წერილი, რომელიც დღეს მიიღო მიქელ ანჯელომ.

ნათელი დღე იდგა. ფერადებით გათხუპნული სახით ხელოვანი სიყვარულით ჰქმნიდა „ქვეყნის დაბადებას". ანგელოზებით გარსშემორტყმული მამა-ღმერთი ზეციდან უახლოვდებოდა ტიტველა მიწაზე მწოლარე ადამს და შეხებას უპირებდა, ხოლო ჯერ არ შეჰხებია მის ხელს, რათა სიცოცხლე მიენიჭებია. ფრთხილად მუშაობდა ოსტატი ადამის უძლურ ხელზე, რომელიც მძინარე ბავშვის ხელს მოგაგონებდა, ბავშვისას, რომელმაც უნდა გაიღვიძოს და არ იღვიძებს. მუშაობით გატაცებულმა მიქელ ანჯელომ სრულიად დაივიწყა, რომ გაგზავნა კოზიმო საუზმის მოსატანად, როდესაც კიბეზე მოისმა ნაცნობი ჭრიალი. ხელოვანი მიიმალა ფიცრებს უკან, რადგან ერიდებოდა უცხო ადამიანს, მაგრამ ტყუილად შესწუხდა: მოვიდა კოზიმო და საუზმესთან ერთად მოიტანა წერილი, და სწორედ ეს წერილი იყო ხელოვანის აღშფოთების მიზეზი. სწერდა მამა. სიხარულთან ერთად, რადგან წერილი ერთად-ერთი ანარეკლი იყო შორეულ საყვარელ სამშობლოსი, მას მოჰქონდა თან აუწერელი სიმწარე. იცოდა ეს მიქელ ანჯელომ; ამიტომ, თუმცა აჩქარებით ჩამოართვა მსახურს, პატარა ხანს ხელში ატრიალა, იფიქრა და დიდი ყოყმანის შემდეგ გახსნა.

საკუთარ კერას მოკლებული მიქელ ანჯელო ზრუნავდა მამისა, ძმებისა და ძმისწულებისათვის; ძმები უსინიდისოდ აცალიერებდნენ მის ჯიბეს და ამასთან ერთად არა ჰგრძნობდნენ მის მიმართ მადლობას; კარგად ჰხედავდა ამას მიქელ ანჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო, ხოლო ამაყი იყო ძლიერ, რომ მათთვის ეს ეჩვენებინა. მაგრამ ძმები არ კმაყოფილდებოდნენ ამით და უფრო და უფრო ცუდად ეპყრობოდნენ მამას. უკანასკნელ წერილში მამა სჩიოდა უმცროს შვილზე—ჯიოვან-სიმონეზე. თუმცა მიქელ ანჯელოს ჯიოვან-სიმონე უყვარდა სხვა ძმებზე მეტად, მაინც მოთმინების ფიალა აევსო და აქვე დაიწყო წერილის წერა. აღშფოთებული სწერდა ხელოვანი ძმას წერილს და მასში გამოსთქვამდა ყველაფერს, რაც კი აწუხებდა. სწერდა და დრო-გამოშვებით ხმა-მაღლა წაილაპარაკებდა:

— შენ ჩემი ძმა არა ხარ, ვინაიდან, ძმა რომ ყოფილიყავი, მამას არ დაემუქრებოდი. შენ ცხოველი ხარ, და მე მოგეპყრობი, როგორც ოთხფეხს!...

მაშინ მოისვენა მიქელ ანჯელომ, როდესაც გაგზავნა წერილი.

X

ბრწყინვალე და შავ-ბნელი დღესასწაული იყო მიქელ ანჯელოსათვის ყველა წმიდათა დღე 1512 წელს, როდესაც პაპის სიქსტინის კაპელლაში მოშორებულ იქმნა ხარაჩოები, და დამსწრეთა თვალწინ გადიშალა დიდებული შემოქმედება ხელოვანისა. შესრულდა სურათი, და ოსტატის გულმა სიცივე იგრძნო. მაგრამ სანამ მოაშორებდნენ ხარაჩოებს და ჩადგებოდა მტვერი, მიქელ ანჯელოს ცოცხლად წარმოუდგა ის აუტანელი ტანჯვა, რომელიც გამოიარა მუშაობის დროს, მუდმივი ეჭვი, რომელიც დაჟინებით ჰქენჯნიდა, პირველი მარცხი ფრესქების ხატვაში, გეგმის სიდიადე, პაპის მოუთმენლობა, მარტოობა, თვალის სინათლის დაკარგვის და ადამიანის ცბიერების შიში, მოაგონდა ის, რამაც მოსწყვიტა მას წელი.

როგორც ყველა თავის ნაწარმოებში, მიქელ ანჯელომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუხვია გვერდი სიყვარულს და აქაც ძალა გამოსახა; ამიტომ დიდი ხანი მოანდომა კუნთების გამოხატვას.

— აპირებ როდისმე გათავებას, თუ არა? ყველა კუნთი თუ გამოხატე, ჩემი ხსენებაც არ იქნება მაშინ დედამიწაზე! ან რისთვისაა საჭირო?—შეჰყვირა მოთმინება—დაკარგულმა იულიუსმა, რომელსაც მართლა ეშინოდა, რომ არ მოესწრება სიქსტინის ფრესკების გათავებას.

— როდესაც შევძლებ!—იყო პასუხი.

— როდესაც შესძლებ! ჰმ! მე არა მსურს, რომ შენ წვრილმანების გამოხატვას მოანდომო დრო! გესმის?

— თუ აგრეა, მიანდობდით ამ საქმეს აი თუნდა თქვენ საყვარელ რაფაელს, და ის მალე დაგიხატავდათ ჭერსა! არა, მე ჩემ ნამუშავარს უმალ მოვსპობ, ვიდრე სხვას გავაფუჭებინებ!

— რაო, რაო?—შეჰყვირა ახლა კი განრისხებულმა იულიუსმა და ორჯერ დაარტყა კვერთხი ურჩ მონას.

ამას მოჰყვა 500 დუკატი*) და პაპის ბოდიში. მაგრამ ფული და ბოდიში განა დაავიწყებდნენ მიქელ ანჯელოს შეურაცხყოფას!

გაუელვა ამ მოგონებამ ხელოვანს და მიახედვინა პაპისაკენ, რომელსაც შემორტყმოდნენ ეპისკოპოსნი, პრელატები**) და კარდინალები***). დამსწრენი სიზმარში ჰგრძნობდნენ თავს. სიქსტინაში გამოისახა ოცნება იტალიის დიდებაზე, და ეს ოცნება, გმირული ფიქრები, შეიმოსა გმირულ სამოსელში. ღმერთთა სიმხიარულე, წინასწარმეტყველთა სიბრძნე და დედის სიყვარული, ქრისტიანულ გრძნობასა და

*) ოქროს ფული, დაახლოვებით სამი მანეთის ღირებულებისა.

**) კათოლიკეთა უმაღლესი საასულიერო პირები საეკლესიო საქმეების გარჩევის უფლებით.

***) წინად რომელიმე ეკლესიის მუდმივ მღვდელ-მსახურთა ხარისხი, ახლა კი პაპის შემდეგ უმაღლესი სასულიერო პირნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმართთა მოგონებაში გადახლართული, რასაკვირველია გაუგებარი იყო მაყურებელთათვის, ხოლო ჰგრძნობდნენ ისინი, რომ მათ თვალწინ განიპო ცა და მოუვლინა ღვთიური სურათი

— დიდება შენდა, ბუონაროტტი!—მიუბრუნდა თვალცრემლიანი იულიუსი ხელოვანს და გადაეხვია.—შენ მოახდინე სასწაული! მაგრამ, იცოდე, ამ დიდებაში წილი მიდევს, რადგან უჩემოდ სურათი დაუთავებელი დარჩებოდა!

სთქვა რა, პაპმ ისევ შეხედა ჭერს და დაუმატა:

— ჩინებულია, მაგრამ სურათს ცოტათი რომ შეეხოს ოქრო, უკეთესი იქნება! ღვთის სავანე დიდმშვენიერი და მდიდარი უნდა იყოს, თორემ მდაბიო ხალხს ღარიბად ეჩვენება!

— ოქროთი დამშვენება ადვილი საქმეა, მაგრამ ეს სიყალბე იქნება, რადგან აქ გამოსახულნი ღარიბნი იყვნენ,— უპასუხა ხელოვანმა და დაათვალიერა უკანასკნელად ნახატები. ეს იყო სალამი—გამოთხოვება.

XI

ხალხის მოძრაობის კოცონი ფლორენციაში, რომელშიაც მიქელ ანჯელო ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას 1527 წელს, უკვე ცივ ფერფლად იქცა; პაპის ტახტზე იყო პავლე მესამე, ისეთივე თვითნება ადამიანი, როგორც იულიუსი. მიქელ ანჯელოს აღარაფერი დარჩენოდა დედამიწაზე: არც ხელოვნება, არც პატივის მოყვარეობა, არც სიყვარული, არც მცირეოდენი იმედი. „მძიმე შრომამ ყიყვით დამაჯილდოვა; მუცელი ნიკაპამდის ამებერა; წვერი ცისაკენ მიიწევს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინკრიხო ზურგს ებჯინება; მკერდი ჰარპიის მკერდსა ჰგავს; მე გაჭიმული ვარ, როგორც სირიის მშვილდი; ტანსავით დამეტანჯა გონებაც, რადგან ცუდია დაჟეჟილი საყვირი საკრავად“,—სწერდა მიქელ ანჯელო და იტანჯებოდა საკუთარ სიგონჯისაგან. მაგრამ უცებ მის დაცარიელებულ, გამოფიტულ გულში აინთო ახალი სიცოცხლე, აჰყვავდა ახალი გაზაფხული, და 1536 წელს ხელოვანი იწყებს „საშინელ სამსჯავროს“, სურათს, რომლითაც უნდა დასრულდეს სიქსტინის შვენება.

გავიდა თითქმის ოთხი წელიწადი. სურათის დასრულება ახლოს იყო, როდესაც მიქელ ანჯელოს ჩვეულებისამებრ ეწვია პაპი პავლე.

— როგორ მოგწონს სურათი, მესსერ ბიაჯიო?—მიუბრუნდა იგი თავის კარის კაცს.

— ძალზე სათაკილო ნაწარმოებია, წმიდაო მამავ! ასეთი გამოხატულება სამიკიტნოს და აბანოს შეეფერება, და არა პაპის კაპელლას!—უპასუხა კარის კაცმა, რომელსაც ეჩოთირა გამოხატულთა სიტიტვლე.

ასეთი მკაცრი და შეუბრალებელი იყო პირველი გასამართლება მიქელ ანჯელოს ნაშრომისა. მაგრამ ხელოვანის ყალამი არა ცხრებოდა. მიქელ ანჯელომ ხელად დახატა ზეპირად თავისი პირველი მსაჯულის სურათი და შემდეგ გამოიყვანა იგი ჯოჯოხეთში მინოსის სახით, ვეება გველ-შემოხვეული, მთელ ლეგიონ ეშმაკთა შუა. ბიაჯიომ იცნო თავისი თავი სურათზე და შესჩივლა პაპის, ხოლო ტყუილად გაისარჯა:

— განსაწმენდელში რო მოეთავსებინე მიქელ ანჯელოს, მე რამეს მოვიქმედდი შენდა სახსნელად, მაგრამ მან მოგათავსა ჯოჯოხეთში, იქ კი მე ულონო ვარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეურაცხყოფილ ბიაჯიოს აღმოუჩნდნენ ძლიერი დამცველნი; მას გამოეხმაურნენ სხვებიც, და მალე, პაპის პავლე მეოთხის დროს, მიქელ ანჯელოს მტერთა ბანაკმა მიიღო სამუქარო ზომა.

— ჭეშმარიტად, ის ფრესკა უნდა მოისპოს.

— ეს ხომ ლუთრანგთა ტალახია!

— ეს ხომ ქრისტიანთა რწმენის და ადამიანის სიფაქიზის გაქელვაა!—გაისმოდა აქეთ-იქიდან მათი ხმა, რომელმაც საკმაოდ შეაშინა მხდალი ქრისტეს მოადგილე და აიძულა გამოენახა საშუალება ყაყანის ჩაჩუმებისათვის.

— ბუონაროტტი! მეტი გზა არ არის, ტიტველთ ტანთსაცმელი უნდა გამოუნახო! ნამეტნავად ანგელოზთა და მართალთა! ეშმაკებს მაინც-და-მაინც არ ესაჭიროებათ მთელ ტანის დაფარვა!—მიჰმართა პაპიმ დაბარებულ მიქელ ანჯელოს, რომელმაც მხურვალე რწმენა ჩაურთო სურათს, და არა სიბილწე, რასაც სწამებდნენ მოწინააღმდეგენი.

— შეუძლებელია, თქვენო უწმიდესობავ!

— კმარა! უშენოდაც გაუძღვებით საქმეს!—მკაცრად ჩამოართვა სიტყვა პავლემ.

მართლაც, პაპის ბრძანებით, მიქელ ანჯელოს შეგირდმა დანიელ დე ფოლტერმა ჩააცვა ტიტველთ „საშინელ სამჯავროში“ ტანთსაცმელი და მიიღო უხვი ჯილდო, რადგან იკისრა მასწავლებლის ნაშრომის დამახინჯება.

როდესაც ოსტატს შეატყობინეს ესა, მან გულგრილადა სთქვა:

— გადაეცით მის უწმიდესობას, რომ ქვეყანა მოაწესრიგოს, თორემ სურათის გადაკეთება ადვილი და უბრალო საქმეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქიზი იყო მიქელ ანჯელოს სული, და უმნიშვნელოდ მიაჩნდა მას სიცოცხლე სააქაოს—დედამიწაზე, მით უფრო, რომ ამ დროს ჰკარგავდა უკანასკნელ მეგობარს.

XII

თვითონ უცნაური, მიქელ ანჯელო მეგობრებსაც კი უცნაურებს ირჩევდა. სხვათა შორის იგი არაჩვეულებრივ მიმზიდველობას ჰგრძნობდა სასაცილო და უწყინარ ჯიულიანო ბუჯიარდინისადმი, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარდა საკუთარი ნახატები. კადნიერი და მძაფრი ამა ქვეყნის ძლიერთა თანა, მიქელ ანჯელო იჩენდა იშვიათ მოწყალებას და შებრალებას პატარა ადამიანის მიმართ.

— თავისუფალი ხარ: არსებითი შენს სახეში მე უკვე შევნიშნე!—უთხრა მიქელ ანჯელოს ჯულიანომ ორი საათის ხატვის შემდეგ.

— ჯულიანო, ეს რა გიქნია, წყეულო? ერთი თვალი საფეთქელში გაგიქანებია: აბა შეხედე!—მიჰმართა მას ხუმრობით მიქელ ანჯელომ, ნახა თუ არა მისი ნახელავი.

— არა მგონია, რომ ასე იყოს! მაგრამ მაინც დაჯექ ისევ შენს ადგილზე, და მე ფიცხლავ შევასწორებ, თუ მართალი ხარ!—უპასუხა გაბრაზებით ჯულიანომ და რამდენჯერმე შეჰხედა სურათს და მიქელ ანჯელოს.

მიქელ ანჯელო დაემორჩილა ღიმილით, მაგრამ ჯულიანომ სინჯვის შემდეგ გაიმეორა:

— თვალი ისეთია, როგორც მე დავხატე, როგორც ნამდვილად არის.

— მაშ სჩანს ეს ბუნების შეცდომაა! განაგრძე და ნუ დაიშურებ ფერადებს!—მოუწონა მიქელ ანჯელომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი კეთილი გული იმალებოდა ხელოვანის ქოფიტ კანს ქვეშ. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ერთგულ მსახურის, კოზიმო ურბინოს სიკვდილმა ააღელვა და შეაწუხა იგი. სულ უკანასკნელ ხანებში, როდესაც ხელოვანი ჰგრძნობდა თავს სიკვდილის კლანჭებში, შეეკითხა კოზიმოს:

— რას იზამ, კოზიმო, მე რომ მოვკვდე?

— ახალ ბატონს გამოვნახავ.

— უბედურო! შემწეობა მინდა აღმოგიჩინო! — უთხრა ალერსით კოზიმოს და მისცა მას 2000 ეკიუ*), საჩუქარი მართლა რომ მეფური.

მაგრამ მოსტყუვდა ხელოვანი: ურბინომ პირველმა გადასდგა ნაბიჯი საიქიოსაკენ და დაუტოვა ცხოვრებისაგან მოქანცულ მიქელ ანჯელოს დაუსრულებელი დარდი და სიმწარე.

მოწყვეტილი მიქელ ანჯელო სწერდა მეორე დღეს თავის ძმისწულს:

„ურბინო გარდაიცვალა ვუშინ საღამოს, ოთხ საათზე. დამტოვა მე იმდენად შეწუხებული და აღელვებული, რომ სიკვდილი სიცოცხლეზე სასიამოვნოდ მიმაჩნდა. მიყვარდა იგი, და ღირსიც იყო ამ სიყვარულისა, რადგან ის იყო კეთილშობილი, პატიოსანი და ერთგული ადამიანი. მისმა სიკვდილმა ისე იმოქმედა ჩემზე, რომ დამაკარგვინა სიცოცხლის სურვილი და სულის სიმშვიდე“.

ჩრდილი იზრდებოდა; მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა; უნდა დავარდნილიყო მოქანცული გოლიათიც.

---

*) ძველებური ფრანგული ფული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII

— მე ვცხოვრობ განმარტოებული, საბრალო და მომწყვდეული, როგორც რბილი გული ხის კანში... ხმა ჩემი კრაზანას ხმას მიაგავს, ტყავის და ძვლების ტომარაში მომწყვდეულს; კბილები მენძრევა საკრავ იარაღის ძვლებსავით... სახე ჩემი მოგაგონებს საფრთხობელას; ყურებში მიწივის განუწყვეტლივ: ერთში ობობა ქსოვს ქსელსა, მეორეში ჭრიჭინები ყბედობენ მთელი ღამე... აი ნაყოფი ხელოვნებისა, რომელმაც დიდება მომანიჭა. უბედური, საბრალო მოხუცი, მე დავიღუპე, სიკვდილი თუ არ მიხსნის საჩქაროდ... შრომამ დამტანჯა, და მოსვენება, რომელიც მე მელის, სიკვდილია.—ასე სწერდა მიქელ ანჯელო, და სასურველი სიკვდილიც ნელა-ნელა უახლოვდებოდა. დაუჯერებელი მოხუცი უარჰყოფდა ადამიანის და ექიმის დახმარებას და, მოუსვენარი, გადიოდა სასეირნოდ თავის პაწია ბაღში წვიმიან ამინდშიც კი.

საღამო ხანი იყო. ბუხარში გულ-ამოსკვნით გუზგუზებდა ცეცხლი. მიქელ ანჯელო ჩამოჯდა აქვე სავარძელში, მაგრამ ველარ გაუძლო ძვლებში გამჯდარ სიცივეს და სისუსტეს და ჩაწვა ლოგინში, რომელშიაც გაატარა მხოლოდ ორი დღე. უკანასკნელი სიტყვები მისი იყო:

—სული—ღმერთს, ხორცი—მიწას, ქონება—ნათესავებს.

თებერვლის 18-ს, 164 წელს, საღამოს ხუთ საათზე მშვიდად ჩაჰქრა სიცოცხლე დიადი ადამიანისა, მოსწყდა აღორძინების მზეს მხურვალე სხივი, რომელიც აცხოველებდა დიდხანს სამშობლო იტალიას. თებერვლის მძვინვარე ქარი ზუზუნებდა კარში და სახლის წინ გაშენებულ ბაღში აშრიალებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშანდელ გამხმარ ფოთლებს. ნაწვიმარ დაფნის ტოტზე წამოსკუპებულიყო ვეება ყვავი და ჩაციებით ჩხაოდა. რაღას-ღა დასჩხაოდა წყეული? განა სიცოცხლესთან ერთად ტანჯვასაც არ მოელო ბოლო?!

XIV

— ჩუ! ნუ მაღვიძებ!—იძახოდა სიცოცხლისას მიქელ ანჯელო, მაგრამ როდი ისმინა მისი სიტყვები ადამიანმა.

ღამეს უკვე გაეხვია თვის ბნელ ფრთებში საუკუნო ქალაქი. მისძინებოდა ზარების ხმას, რომელიც ლოცვად ეფინებოდა დღისით რომის ალერსიან ცის კამარას. ყველგან სუფევდა მშვიდობა. ერთად-ერთი წმ. მოციქულთა ეკლესია იყო ამ მშვიდობას მოკლებული.

— ფრთხილად, ფრთხილად ამოსწიე! სულელ გრილლოს გვამი კი ნუ ბგონია, ცოდვილო!

— შენ გაუფრთხილდი, თორემ მე დარიგება არა მჭირია! ისედაც საკმაოდ ვგრძნობ, რა ძვირფასი საუნჯე ამოგვათხრევინა მიწიდან კოზიმო მედიჩიმ!..

— კარგია, შენმა მზემ, ნუ გააბი ლაპარაკი ენა-ლაქლაქა მქადაგებელივით; გირჩევნია მალე შეკერო ეგ ტომარა, რომ დროზე მივიდეს ფლორენციაში!..

ასე ლაპარაკობდნენ და აქეზებდნენ ერთმანეთს ფლორენციის ჰერცოგის კოზიმო მედიჩის გამოგზავნილი კაცები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ამოეთხარათ მიქელ ანჯელოს გვამი და გაეგზავნათ ფლორენციაში. მაგრამ ტყუილი იყო წაქეზება, რადგან უამისოდაც ეჩქარებოდათ მინდობილობის ასრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეხე, შეხე, თითქოს წმიდათა ნაწილები იყოს: სრულიად გაუხრწნელია!—უჩვენებდა ერთი მეორეს დიდებულ ადამიანის გვამს, პატარას, ჩაშავებულს და მართლა რომ ნაწილებსავით გამხმარს.—შესაძლოა განა, რომ ამდენ ხანს გასძლოს სხეულმა?!

— გამჩენო! ისეთივე მახინჯი განიერი პირი, ისეთივე ამაყი, ავი ნაოჭები მის გარშემო! სიკვდილმაც კი ვერ წაშალა იგინი!

არა სტყუოდნენ მოლაპარაკენი: თუმცა ოცდა ხუთი დღე გავიდა, მიქელ ანჯელოს გვამი მაინც უხრწნელი იყო...

დიდის ამბვით დაასაფლავა ფლორენციამ დიდებული ხელოვანი სანტა კროჩეში, დანტეს ძეგლის გვერდით, და შეაერთა ორი სხეული, მარად შეერთებული უკვე ხალხის ხსოვნაში. მოსვენებას ეძებდა სიცოცხლისას მისი მშფოთარე სული, სიკვდილის შემდეგაც ვერ ჰპოვა იგი; თუმცა აღარაფერს ჰგრძნობდა ახლა, გაქვავებულ სახეზე მაინც გამოსთქვამდა ფუჭ სიცოცხლისადმი სიძულვილსა.

დავ. კილოსანიძე

ვარდახვეწილი

(გუმბგნი ნიკო ანთ—ს)



ურფაა ჩემი ქვეყანა,—
კახეთის არემარეო;
დღისით და ღიმით ბრწყინავენ
მის თავზე მზე და მთვარეო.

ათასფერ ყვავილ-ვარდებით
მოქარგული აქვს ველები;
მის მკერდზე ანცი წყარონი
სცურავენ, ვითა გველები.

გნოლი, ხოხობი, ქედანი—
დასტრიალებენ თავზედა;
ბულბულნი ლექსებს უსტვენენ
სასიამოვნო ხმაზედა.

მიყვარდა, ერთობ მიყვარდა
ის ჩემი ტურფა მხარეო,—
სად ბევრი კარგი ვიწვნიე,
ვინეტარ-გავიხარეო.

დედამ იქ მშობა, იქავე
მიმღერა ტკბილი ნანაო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ გავიზარდე, ცხოვრების
ვისწავლე ანა-ბანაო.

მაგრამ... ცხოვრებამ მიმუხთლა,
გადამეკიდა წყეული;
შორს გადმომაგდო, დამტოვა
თვალ-ცრემლიანი, ეული,—

ველარ ვმზერ ტურფა ქვეყანას,—
ჩემსა სამშობლო მხარესა;
ვენახებს, ბაღებს, ყვავილებს,
ანც წყაროს მოჩქრიალესა.

ვზივარ, და გული მიკვნესის,
ხშირად ცრემლს ვაფრქვევ მწარესა!..
ოჰ, ღმერთო, როდის ვეწვევი
სამშობლო არემარესა?!...

მიყვარდა, მიყვარს ძალიან
ჩემი კოპწია მხარეო,
სად ბევრი კარგი ვიწვნიე,
ვინეტარ-გავიხარეო.

დედამ იქ მშობა, იქავე
მიმღერა ტკბილი ნანაო;
იქ გავიზარდე, ცხოვრების
ვისწავლე ანა-ბანაო.

დ. ელიოზიშვილი



ბატონიშვილი და ლალა

(ხალხური ზღაპარი)

ყო და არა იყო-რა,—ღვთის უკეთესი ქვეყნად რა იქნებოდა,—იყო ერთი დიდი, მდიდარი და ნებიერი ბატონიშვილი. ამ ბატონიშვილს ისეთი ხასიათი ჰქონდა, რომ თუ ძილისპირად ზღაპარს არ ეტყოდნენ, ისე ვერ დაიძინებდა. ამიტომ მუდამ ჰყავდა ხოლმე დაქირავებული ერთი ლალა, რომელიც იმის მეტს არას უკეთებდა, რომ ყოველ ღამე ზღაპარს ეუბნებოდა და აძინებდა. ერთხელ ბატონიშვილმა ერთი ლალა დაიქირავა. ძალიან ბევრი და ძალიან კარგი ზღაპრები იცოდა ლალამ და ბატონიშვილსაც ძალიან უყვარდა. ბატონიშვილს ლალა სამი წლის ვადით ჰყავდა დაქირავებული. როცა ლალას ყავლი გაუთავდა, ბატონიშვილთან მივიდა და მოახსენა: ბატონიშვილო, დღეს ყავლი გამითავდა და გამისწორდით, შინ უნდა წავიდეო. ეწყინა ბატონიშვილს: ასეთი მეზღაპრე როგორ გაუშვაო. თან საქმე ისიც იყო, რომ ბატონიშვილის ლალას ყავლი გამოეპარა და ახლის თადარიგს არ შესდგომოდა, ამიტომ თუ ლალა დღეს წავიდოდა, იმ ღამეს ბატონიშვილი უზღაპროდ დარჩებოდა და ვერ დაიძინებდა. შეეხვეწა ლალას—შენი ჭირიმე, ამალამაც დარჩი, ერთი ზღაპარიც მითხარი და დილაზე წადიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამალამ უზლაპროდ ხომ არ დავრჩები. ხვალ კი სხვა ლალას დავიქირავებ, თუ შენ არ გინდა ჩემთან დარჩენაო.

ლალა გაინაზა—ჩემი ზლაპრები ოხერი კი არ არის, ტყუილა-უბრალოდ ვილაპარაკოო. სამი წელიწადი წესიერად გემსახურე, ყავლი გამითავდა, ახლა სახლში მინდა წავიდეო.

— რას ინაზები: შენი ზლაპრები რა ძალიან გაგკვირვებიაო, – უპასუხა ბატონიშვილმა.

— თუ არ გამკვირვებია, მაშ რალას მეხვეწები, გამიშვი—წავიდეო,—მიუგო ლალამ.

ბატონიშვილს გული მოუვიდა.

— ლალავ!—უთხრა მან,—იცი, რას გეტყვი? აი, ჩემ ბუხრის ქუდს ოქროთი გავავსებ და სანაძლეოს დავდებ. ამალამაც აქ დარჩი და ზლაპარი მიამბე. თუ შენ შენი ზლაპრით გამაკვირვებ, ეს ბუხრის ქუდი ოქროთი სავსე შენი იყოსო, თუ არა და—ქუდიც მე დამრჩეს, ოქროც და შენი ზლაპარიც ჩემზე ალალი იყოსო.

— კარგიო,—უთხრა ლალამ.—დაჰკრეს ხელი-ხელსა და დანაძლევდნენ.

მთელი დღე დადიოდა ლალა და ფიქრობდა, თუ ისეთი რა ზლაპარი უთხრა ბატონიშვილს, რომ გავაკვირვოო. ის დღე რომ დალამდა და ბატონიშვილი დასაძინებლად დაწვა, ლალა თავით მოუჯდა და ერთი საკვირველი ზლაპარი უამბო.

ლალას ზლაპარი

იყო და არა იყო-რა, იყო ერთი თავადიშვილი. ჰყავდა სამი ათას სამას სამოცდასამი სკა ფუტკარი. ამ ფუტკარს ერთი მწყემსი სდარაჯობდა. მწყემსი ყოველ დილით გაჰრეკავდა ხოლმე ფუტკარს საძოვარზე და საღამოთი კი ისევ შინ მორეკავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველი იყო, რომ სამი ათას სამას სამოცდასამ სკა ფუტკარს ერთი მწყემსი ჰყოლოდა, რომ ამ მწყემსს ფუტკარი საძოვარზე ერეკნა; აბა ფუტკარს ან მწყემსს ვინ დაუყენებს, ან საძოვარძე ვინ გაჰრეკავს; მაგრამ ლალას ბატონიშვილის გაკვირვება უნდოდა. ბატონიშვილი კი არა ჰკვიროობდა.

— შეიძლება, შვილო, შეიძლებაო,—უთხრა ბატონიშვილმა.

— ეგ კიდევ არაფერიო,—განაგრძო ლალამ:—თავადიშვილი მწყემსს ფუტკარს დილაობით თვლით ჩააბარებდა ხოლმე და საღამოობითაც თვლით ჩაიბარებდაო.

სამი ათას სამას სამოცდა სამ სკას ვინ დასთვლის; მაგრამ ბატონიშვილმა არც ეს გაიკვირვა და ისევ უთხრა:

— შეიძლება, შვილო, შეიძლებაო.

— ერთ დღეს თვლაში ერთი ფუტკარი დააკლდათო,—განაგრძო ლალამ.—ბატონი გაუჯავრდა მწყემსს და გააგდო: წადი, ის ერთი ფუტკარი მონახე და მოიყვანეო. წავიდა მწყემსი, ბევრი იარა, მაგრამ ის ერთი ფუტკარი ვერსადა ნახა. ბოლოს ერთ დიდ მდინარეს მიადგა. ისეთი განიერი იყო ეს მდინარე, რომ ნაპირი არ უჩანდა. აი, ამ მდინარის გალმა მწყემსმა დაინახა, რომ იმ ერთ ფუტკარს ხუთი მგელი დაჰსევია, მაგრამ მაინც ვერაფერს აკლებს.

— შეიძლება, შვილო, შეიძლებაო,—თავისას გაიძახოდა ბატონიშვილი.

— მწყემსმა მოინდომა ფუტკარს მიჰშველებოდა, მაგრამ როგორ გადასულიყო მეორე ნაპირას,—განაგრძო ლალამ:—ხიდი არ იყო იმ მდინარეზე, ნავი და ბოგირი. ბევრი იფიქრა, ბევრი თავი იმტვრია და ბოლოს ასე მოახერხა: ყურებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ხელები წაივლო, თავი გადიქნია, ფეხები მაღლა აიქნია, მდინარეზე გადაფრინდა და მეორე ნაპირას გაჩნდაო.

— შეიძლება, შვილო, შეიძლებაო,—სთქვა ისევ ბატონიშვილმა.—არ უნდა გაჰკვირდეს, და იმიტომ ესე სთქვა.

— მაგრამ ვიდრე მწყემსი გადაფრინდებოდა, მგლებს ის ფუტკარი შეეჭამათ და მხოლოდ ძვლები-ღა იყოო.—ცდილობდა ბატონიშვილის გაკვირვებას ლალა. ბატონიშვილი კი გაიძახოდა:

— შეიძლება, შვილო, შეიძლებაო.

— რაღა ექნა მწყემსს, თავის ბატონს უფუტკროდ ხომ ვერ დაუბრუნდებოდა? შინ წასვლისა შეეშინდა და იფიქრა,— მოდი ზეცას ავალო. აიღო ფუტკრის ძვლები, ერთმანეთზე შეაწყო, ააკოკოლავა, ააკოკოლავა და უშველებელი სიმაღლის კოშკი ცამდის კი აიტანა. თითონაც აჰყვა ამ ძვლების კოშკს და ავიდა ზეცას.

— შეიძლება, შვილო, შეიძლებაო,—არა ტყდებოდა ბატონიშვილი.

— ზეცაში მწყემსმა იქეიფა, ისეირნა და როცა იქ ყოფნა მოსწყინდა, ისევ დედამიწაზე ჩამოსვლა მოინდომაო,— განაგრძო ლალამ.—მივიდა იმ ადგილას, სადაც ძვლების კოშკის წვერი ცას ებჯინებოდა, მაგრამ კოშკი იქ აღარ დახვდა, თურმე, ნუ იტყვი, იმ დროს, როცა მწყემსი ზეცაში ქეიფობდა, ის დიდი მდინარე მოდიდებულიყო და ის კოშკი წაელეკნა. დაღონდა მწყემსი, ახლა ქვევით როგორღა ჩავიდეო! ბევრი ფიქრის შემდეგ გავიდა, იყიდა თოკი, ერთი წვერი წელზე მოიბა, მეორე ზეცის ძირს მიაბა და ჩამოეშვა. მაგრამ თოკი მოკლე მოსვლოდა და დედა-მიწამდის ვერ დასწვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ექნა: აიღო, თოკს ზემოდ მოაჭრა, ქვემოდ მოაბა და ისევ ჩამოეშვა.

— შეიძლება, შვილო, შეიძლებაო,—თავისას გაიძახოდა ჯიუტი ბატონიშვილი.

— ჩამოეშვა, მაგრამ მაინც ვერ დასწვდა დედამიწას: კიდევ მაღლა იყო. კიდევ ისე მოიქცა: ზემოდ მოსჭრა თოკსა, ქვემოდ მოაბა და ჩამოეშვა.

— შეიძლება, შვილო, შეიძლებაო.

— ჩამოეშვა, მაგრამ მაინც ვერ დასწვდა დედამიწას. მოუვიდა გული მწყემსსაო,—სჩმახავდა ლალა თავის სისულელეებს,—ამდენი სად ვაჭრა და სად ვაბაო; გაუშვა თოკს ხელი და ჩამოხტა. ჩამოხტა, მაგრამ ყელამდის კი მიწაში ჩაეფლო.

— შეიძლება, შეიძლებაო,—ამბობდა ბატონიშვილი.

— იჯდა მწყემსი, მიწაში ჩაფლული, და ფიქრობდა, თუ როგორ ამოსულიყო მიწიდან. ბოლოს მოაგონდა, რომ იქვე ახლოს წისქვილი იყო; ადგა, წავიდა, მოიტანა ბარი, ნიჩაბი, თოხი, ამოთხარა და ამოვიდაო.

— შეიძლება, შვილო, შეიძლებაო,—არა ტყდებოდა ბატონიშვილი.

მოუვიდა გული ლალას, ამდენი საკვირველი და სულელური ამბავი ვუთხარი, და კი ვერ გავაკვირვეო. ამიტომ უთხრა:

— თუ ჩემი ნაამბობი არა გჯერა, მამა შენსა ჰკითხე, ბატონიშვილო, იმან იცის: იმ დროს ისიც იქ იყო და ღორებს აძოვებდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, შე რეგვენო და სულელო, მამა-ჩემი ჩემზე ლიდი ბატონიშვილი იყო, მეღორედ რად დადგებოდაო,— შეჰყვირა ბატონიშვილმა.

— შენ თვითონ რეგვენო, რად მოტყუვდიო,— უპასუხა ლალამ, წამოავლო ოქროთი სავსე ბუხრის ქუდს ხელი და თავის გზას გაუდგა.

ი. ტატიშვილი

ალ ტუანეტას შვილობილი

(შემდეგი*)

IX

მამა ჟოზეფის «შვილები»

ბაგარი ძილის შემდეგ, სიცოცხლით სავსე, სახე-აწითლებული ფილიპე დილით მამა ჟოზეფთან გაკვეთილზე გაიქცა. მოხუცი წიგნის კითხვაში იყო გართული.

— დედილოს ეგონა, რომ მე დავიგვიანე; ძლივს გამაღვიძა,—სთქვა ფილიპემ მისალმების შემდეგ.

— არა, შვილო, შენ თავის დროზე მოდი: ესეც არის ექვსი დაჰკრა,—უპასუხა ფიქრებში გართულმა მამა ჟოზეფმა და წიგნი დაკეცა. სასიამოვნოა, რომ აგრე ბეჯითი ხარ. არქიეპისკოპოზს გამოეგზავნა ჩემთან და დღეს ცხრა საათისათვის დავებარებინე. ღამე არ მეძინა: სულ იმის ფიქრში ვიყავ, თუ რისთვის დამიბარა. დიდი ხანია, რაც ავდექი და იმის ფიქრში ვიყავ, ის ზარმაცი ბიჭი როდის მომიტანს ჩემ ფინჯან ყავას-მეთქი.

სხვა დროს ყოველთვის წყნარად მოუბარი მამა ჟოზეფი ცოტათი გაჯავრებით ლაპარაკობდა. ფილიპე თვალებით რაღაცას დაეძებდა, და რა დარწმუნდა, რომ ოთახში არ არის, მოუთმენლიდ იკითხა:

---

*) იხილე „ნაკადული"-ს მე-4 №.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამაო ჟოზეფ, სად არიან ისინი?

— ჩემი „შვილები“? ისინი ისეთი ურჩნი, ისეთი მოუსვენარნი იყვნენ, რომ იძულებული გავხდი დამეტყოვებინა. თეთრიამ წიგნები დამისვარა; თოვლია კი სულერთიანად ყავაში მოისვარა. იმის მაგიერ, რომ პატიოსნად წაეღო თავისი წილი შაქარი, დაიჯერებ თუ არა, მოუთმენლად ჩემ ფინჯანში ჩახტა და სულ გაიფუჭა აბრეშუმის ბეწვის თეთრი ქურქი. ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ დღეს დაბნეული ვიყავი; ეგონათ, რომ ვერ შევამჩნევდი.

— მაინც სად არიან, მამაო ჟოზეფ? შეიძლება გაკვეთილამდის ვნახო?..—იკითხა ფილიპემ.

— ბნელ შკაფში დავკეტე. როდესაც უზომოდ აღელვებულნი არიან, ერთად-ერთი დამამშვიდებელი საშუალება.— მათი ბნელაში დამწყვდევაა. სუსტი ვარ, თავს არ ვიმართლებ. შეიძლება მე თვითონ გავანებივრე ისინი.

მამა ჟოზეფმა თავი ფილიპესაკენ დახარა და საიდუმლოდ წასჩურჩულა:

—კი არავის უთხრა, ჩემო შვილო, მე იმათ ცეკვა ვასწავლე.

— ოჰ, მამაო ჟოზეფ, რა სასაცილო იქნება! გთხოვთ მაჩვენოთ, როგორ ცეკვავენ.

— ახლა არ შეიძლება. არ შემიძლია;—მამა ჟოზეფმა შიშით ირგვლივ მიიხედ-მოიხედა.—უმუსიკოდ იმათ ცეკვა არ შეუძლიათ და მე დღისით, როდესაც ფანჯრები ღიაა, ქნარს ვერ დაუკრავ.

—განა თქვენ ქნარზე დაკვრაც იცით?—აღგზნებული თვალებით შეეკითხა ფილიპე.—რა მშვენიერია ალბად, როდესაც თქვენ უკრავთ და „შვილები“ ცეკვავენ.

—დიახ, ძლიერ სასიამოვნოა. ისევ ყმაწვილი ვარ, როდესაც იმათთვის ქნარზედ უკრავ; დიდი ხანია მას აქეთ, ჯერ კიდევ სემენარიაში ვსწავლობდი, როდესაც ქნარზე დაკვრას შეუდექი. მუსიკა საშინლად მიყვარდა. მღვდლად კურთხევის შემდეგ იძულებული გავხდი მიმეტოვებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რისთვის, მამაო ჟოზეფ? რისთვის გახდით იძულებული?—თანაგრძნობით ჰკითხა ფილიპემ.

— იმიტომ, ჩემო ძვირფასო ბავშვო, რომ, როდესაც ჩვენ ღვთის მსახურებას შეუდგებით, ბევრი რამ, რაც გვიყვარს, უნდა მივატოვოთ. ქნარი ძლიერ მიყვარდა, მაგრამ ის ჩემსა და ჩემ ვალდებულობის შუა იდგა, და მივატოვე. დიდი ხნის განმავლობაში თითქმის არც კი მინახავს. ახლა მოვხუცდი, და სირცხვილით უნდა გამოვტყდე—ისევ გამოვნახე.—მის მკრთალ პატარა სახეზე მონანიებამ გაიელვა.—მრცხვენია იმის თქმა, რომ ისევ ისე მიყვარს მუსიკა, როგორც წინად, და გულში მიხარია, რომ ძველი მელოდიები ისევ მახსოვს. მე „შვილების“ ხათრისათვის უკრავ, რომ ცეკვა ვასწავლო. შენ კეთილი ჭკვიანი ბავშვი ხარ და არ გამამხელ. მთელი ღამე არ მეძინა. ძლიერ მაღელვებს არქიეპისკოპოსის მიწვევა: ვაი თუ გაიგო ჩემი სისუსტე, ჩემი ჭკუა-თხელობა, და მიწვევს, რომ დამსაჯოს.

— არა, მამაო ჟოზეფ. თქვენ ისეთი კეთილი ხართ!—გრძნობით სთქვა ფილიპემ.—ამგვარ უბრალო რამეზე როგორ დაგსჯის.

— მეც აგრე ვფიქრობ, მაგრამ მაინც ვსწუხვარ. მის ყოვლად-უსამღვდელოესობას შეუძლია იფიქროს, რომ მე დაუდევრად ვეკიდები ჩემ თანამდებობას, მაგრამ, ჩემო საყვარელო ბიჭიკო, მე ყოველთვის ისე ვახერხებ, რომ „შვილებმა“ ხელი არ შეუშალონ ჩემს მუშაობას,—უკრავ გვიან ღამით, ან დილით ძლირ ადრე, როდესაც გარეშამო ყველას სძინავს.

— თუ კი თქვენი მუსიკა არავის გაუგონია,—აზრიანად შენიშნა ფილიპემ,—არავის არ შეეძლო დაესმინეთ ყოვლად-უსამღვდელოესობის წინაშე; მაშასადამე თქვენი შიში უსაფუძვლოა, მამაო ჟოზეფ.

— ვნახოთ: ყველაფერს ჩქარა გავიგებ. ვგონებ, რომ ჩემი საბრალო „შვილები“ საკმაოდ დაისაჯნენ. დამნაშავეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუშვებ, რომ გაკვეთილის წინ ნახო. ისინი დღეს მომხიბლავნი არიან.

ამ სიტყვებით მამა ჟოზეფი თავის საწოლ ოთახში შევიდა და ჩქარა დაბრუნდა ხელში მავთულის გალიით, რომელშიაც რამდენიმე პატარ თეთრი თაგვი ხტუნაობდა.

შეხედეთ, შეხედეთ! ისინი „კუთხეებს“ თამაშობენ.

მოხუცმა გალია მაგიდაზე დადგა და პატარა ცხოველებმა თავის პატარა ოთახში ყურებ-აცქვეტით სირბილი და ტრიალი დაიწყეს. მათი წითელი თვალები ფხიზლად და ეშმაკურად იცქირებოდნენ.

— შეხედეთ, შეხედეთ!—დაიძახა ფილიპემ:—ისინი კუთხეებს თამაშობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ცულლუტები,—სთქვა აღტაცებით მამა ჟოზეფმა:—სასჯელმა ამათზე არ იმოქმედა.

უეცრად ყველაზე უმცროსმა თაგვმა განგებ გაკეთებული პატარა ცოცხი დაიჭირა და გალიის იატაკის გვა დაიწყო ისეთი შრიალით და ფაციფუცით, რომ სულ მიჰფანტ-მოჰფანტა მარცხნივ თუ მარჯვნივ თავისი მეგობრები.—გაათავა თუ არა დაგვა, ცოცხი მხიარულად მხარზე გადაიდო, უკანა ფეხებზე შედგა და გალიის კუთხეში ფრთხილად მიაყუდა.

—განა სასაცილო არ არის დღეს თეთრია?—ჩაილაპარაკა გალიაზე დახრილმა ფილიპემ.—შეხედეთ—ყავაში მოსვრილი თოვლია რა საცოდავი სანახავია! ახლა, მამაო ჟოზეფ, მაჩვენე, როგორ თამაშობენ. დიდიხანია აღარ მიყურებია მათთვის.

მამა ჟოზეფმა თავი ვერ შეიკავა: უნდოდა ერთხელ კიდევ თავის „შვილების“ ნიჭი ეჩვენებია. ის უფრო ხალვათად ჩაჯდა სავარძელში, ერთი ლოყა ფილიპეს აწითლებულ ლოყას მიაყრდნო, მეორე—გალიას და თავისი წმინდა და გარკვეული ხმით დაიწყო სხვა-და-სხვა ბრძანების გაცემა, რასაც თაგვები სწრაფად ასრულებდნენ: უკანა ფეხებზე შემდგარნი, რიგ-რიგად დარაზმულნი დადიოდნენ; ერთდებოდნენ და იყრებოდნენ და ბრძანებისა დაგვარად მარცხნივ თუ მარჯვნივ ტრიალებდნენ. ყველა ამას ისე გულდასმით ასრულებდნენ, რომ ფილიპეს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ამგვარ შექცევაში მამა ჟოზეფს და ფილიპეს დრო სრულებით დაავიწყდათ. თამაშის განმეორების შემდეგ ფანჯრებისა და კარებისაკენ შიშით მაყურებელმა მამა ჟოზეფმა რაღაც ძველი ვალსის სტვენას მოჰყვა. თაგვებმა იმ წამსვე მუსიკის დაგვარად დაიწყეს ტრიალი და ბუქნა. სანამ მამა ჟოზეფი სტვენდა და თაგვები ცეკვავდნენ, ფილიპეს წიგნები განზედ ეწყო და მამა ჟოზეფსაც არქიეპისკოპოსის მიპატიჟება დაავიწყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა ჟოზეფი უეცრად შეჩერდა და თვალები შიშით ხალთს მიაპყრო. თითქმის მთელი საათი „შვილებთან“ თამაშში გაატარეს. გალიას სწრაფად მოწითალო ხელსახოცი გადააფარა და ფილიპეს უთხრა:

— წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო ძვირფასო! ჩვენ ბევრი დრო დავკარგეთ:—არ არის კარგი. ისე კარგად თამაშობდნენ ის ეშმაკები, რომ ყველაფერი დამავიწყდა. სინიდისს ქვეშ რომ ვსთქვათ, არქიეპისკოპოსმა თუ ამ სისულელისათვის საყვედური მითხრა, ის ამით მხოლოდ თავის ვალდებულებას შეასრულებს.

ფილიპემ წიგნები უგულოდ აიღო. თუმცა მასწავლებლის სიტყვებს ფილიპე ყურს უგდებდა, გონების თვალ წინ კი განუწყვეტლად მამა ჟოზეფის მხიარულად მხტუნავ-მოცეკვავე პატარ-პატარა „შვილებს“ ხედავდა.

საათმა რვა დაჰკრა. წასვლის დრო იყო. წიგნები სწრაფად შეაგროვა და სახლში წავიდა. სრულებით დაავიწყდა მიეცა მამა ჟოზეფისათვის ძლიერ საჭირო შეკითხვა.

X

მხატვრის პატარა თანაშემწენი

ბატონი ეინსვორტი მთავრის ქუჩაზე მაღალი სახლის მეორე სართულში სამხატვრო დაზგასთან იჯდა. ის თუმც იქ დროებით ცხოვრობდა, ოთახი კარგად მორთული ჰქონდა. ძვირფას ქსოვილებით მხატვრულად მოკაზმულ კედლებზე მრავალი საუცხოო სურათი ეკიდა. მთელ ოთახში: მაგიდებზე, ფანჯრებზე და იატაკზე აფერადებული ვაზები და ქოთნები იდგა პალმით, გვიმბრით და სხვა-და-სხვა ტურფა მცენარეებით, რომელნიც ოთახს რაღაც მხატვრულ ფანჩატურის მზგავსად ჰქმნიდნენ. სამხატვრო მაგიდაზე დაუთავებელი ნახატები იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაროებს ძველი ჩინური ფაიფური და ბრინჯაო ამშვენებდა და მრავალი წიგნი და ჟურნალი ელაგა ყველგან. დაბალ, თათრულ ხალიჩა—გადაფარებულ ტახტზე ახალგაზდა ქალი იწვა. მის ნაზ, გამხდარ, შავგვრემან სახეზე ლოყები ცხელებიან ავადმყოფსავით ასწითლებოდა. ერთი ხელი თავ ქვეშ დაედო, მეორეში წიგნი ეჭირა, მაგრამ შიგ არც კი იყურებოდა. ტანზე თეთრი, შავ-არშიანი, სრული შალის კაბა ეცვა და ფეხებს შავი შალი უფარავდა. თუმც სნეული, ჩაგრული შესახედაობა ჰქონდა, მაინც მშვენიერ არსებას ჰგავდა. დროგამოშვებით ახველებდა და ლოგინში ტრიალებდა. ტახტი ღია ფანჯარასთან იდგა, რომლიდანაც ნაზი ჰაერი შემოდიოდა და იქვე დადგმულ ბზის ტოტებს არხევდა.

ბატონი ეინსვორტი ტილოზე სურათს ათავებდა. ხველა რომ გაიგონა, მიიხედა და მზრუნველობით იკითხა:

—ძლიერ ხომ არა ჰქრის, ლაურა, ფანჯარაში?

—არა,—უპასუხა ცოლმა სუსტი და დატანჯული ხმით:—ვერ ავიტან უჰაერობას,—ისედაც ძლივს ვსუნთქავ.

—განა დღეს უარესად ხარ, ჩემო ძვირფასო?—წყნარად ჰკითხა ეინსვორტმა და ფრთხილად და მოხერხებულად ტილოზე უკანასკნელი ხაზები გაუსვა.

—არ ვიცი სწორედ: ყოველთვის ერთნაირად ცუდად ვგრძნობ თავს. მგონია სისუსტე თან-და-თან მატულობს.

—ჩემო ძვირფასო, გულს ნუ გაიტეხ. სცადე სძლიო მწუხარებას. სინჯე. მე ხომ ვსცდილობ დავივიწყო მწუხარება,—ვსცდილობ მუშაობას.

—არ შემიძლია, ედუარდ, დავიწყება; არ მინდა დავივიწყო. დღეს ნახევარი წელიწადია, რაც ჩვენი ბიჭიკო დავკარგეთ, ჩვენი ერთად ერთი შვილი. ისეთი რა ჩაგვიდენია: აგრე რისთვის დავისაჯეთ!?

ქალს ტირილი წასკდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საყვარელო ლაურა, რატომ ლაპარაკობ აგრე: შეიძლება ჩვენ დასასჯელად კი არ მოგვევლინა ეს უბედურება, შეიძლება ეს ბედნიერებაა ჩვენი ბავშვისათვის! სცადე აგრე იფიქრო და მწუხარება შეგიმსუბუქდება! დამშვიდდი, ჩემი ხათრისათვის მაინც; გაიხედე—რა შარავანდედით მოსილი გაზაფხულის დილაა; ყური დაუგდე, როგორ ჭიკჭიკობენ ეზოში ჩიტები, როგორი სუნი აქვს თურინჯს, იასამანს, ვარდებს; შეხედე ამ მზის სხივებში მცურავ სახურავებს, ან იმ მეზობლის ბაღში ნათელი მზის სხივებით მოვარაყებულ მაგნოლიას.

— მის შავ სამარეში არ არის მოჭიკჭიკე ჩიტები, არც სურნელოვანი ყვავილები და არც მზის სხივები!—ხელახლა ცრემლების ღაპა-ღუპით ამოიკვნესა ქალმა.

— ნუ ფიქრობ საფლავზე: იფიქრე სიცოცხლეზე, და არა სიკვდილზე; იფიქრე სხვა ბავშვებზე, რომელნიც ცოცხლობენ, რომ მხოლოდ წვალება ჰპოვონ; იფიქრე იმ პატარა გოგოს მძიმე ცხოვრებაზე, ვისგანაც მე გუშინ ქანდაკება ვიყიდე.—და ეინსვორტმა წითელ ხავერდ-გადაკრულ კედელთან თაროზე დადგმულ ქვაზიმოდოს შეხედა. პატარა გოგომ ძლიერ დამაინტერესა და ბავშვმა მგონია კიდევ უფრო. ამისათვის გიჟად ნუ ჩამთვლი: ის საშინლად ჰგავს ჩვენს ბავშვს. თითქმის იმავე წლოვანებისაა და, რაც ყველაზე უფრო საკვირველია,—სახელიც ფილიპე ჰქვია.

— იგივე სახელი! რა უცნაურია,—ცხადი ცნობისმოყვარეობით სთქვა ქალბატონმა ეინსვორტმა და ტახტიდან წამოდგა. მე მაინც ვერ წარმომიდგენია, რომ ქუჩის ბიჭი ჩვენს ბიჭიკოს ჰგავს!

— ჩემო ძვირფასო, ის სრულებითაც არ ჰგავს ქუჩის ბიჭს: ისე კარგად აღზრდილს ჰგავს... შენ თვითონ ნახავ. მგონია დღეს მოვლენ. საბრალო პაწაწას ძლიერ უნდოდა ესმერალდას გაყიდვა და ბავშვი ხომ სულ აენთო, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ჩემ ნახატებზე ჩამოვუგდე ლაპარაკი. ნახავ—რა ნათელი ცისფერი თვალები აქვს.

— იმას ცისფერი თვალები აქვს?

— ისეთივე ღრმა, ქუფრი ცისფერი, როგორიც ჩვენს ბავშვს ჰქონდა, და იმგვარივე შავი კულულები... მართალია ძლიერ ღარიბულად, მაგრამ სუფთადაა ჩაცმული და შესახედავადაც ძლიერ ტურფაა! სჩანს მახლობელნი სიყვარულსა და ზრუნვას არ აკლებენ.

ბატონმა ეინსვორტმა სიტყვის დათავება ვერ მოასწრო, რომ კარზე ფრთხილი კაკუნი მოისმა; მან სთხოვა შემოსულიყვნენ. დიდსა და მძიმე კარებში ორი დარცხვენილი, მაგრამ გაბედულობით აღსავსე პატარა არსება გამოჩნდა.

— ხედავთ—დეა მოვიყვანე!—თავმომწონედ განაცხადა ფილიპემ.

ამ წუთში ის საუცხოო რამ იყო: აინთო, სახეზე ნათელი შუქი დაჰკრთოდა, შავი კულულები თეთრ შუბლზე მძიმედ ეფინა. ტუანეტას ის საუკეთესო ტანისამოსში გამოეწყო, რომელიც თეთრი ტილოს ქურთუკისა ლურჯ შარვლისაგან შესდგებოდა. ერთ ხელში ჩალის ქუდი ეჭირა, მეორეში—დეას ხელი; თითქოს ეშინოდა, რომ გოგონა არსად გაქცეულიყო.

გოგონას ნაზ, შავგვრემან სახეზე მღელვარება ემჩნეოდა; თვალები გაკვირვებასა და მოლოდინს გამოსთქვამდნენ და ტუჩებიც წყნარად და მორცხვად ღიმებოდნენ. იმ დღეს უფრო ჯანსაღი და კმაყოფილი სახე ჰქონდა და წინანდელზე ლამაზი ჩანდა. ერთი ხელით ფილიპეს ჩაფრენოდა, მეორეში კალათი ეჭირა, რომელშიაც ესმერალდა იდვა.

ეინსვორტის სახე სიამოვნებით ბრწყინავდა, როდესაც ბავშვები ოლს წარუდგინა.

— აი, ლაურა,—ღიმილით სთქვა მან,—აი, ჩემი პატარა მეგობრები. რას იტყვი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონ ეინსვორტს დეა არაკი შეუმჩნევია; ბან-მწუ-ხარებისაგან დაბნეული და გაშტერებული თვალები ფილიპეს მიაპყრო. ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ცოტა სიჩუმის შემდეგ პირი მიიბრუნა და მწარედ აქვითინდა.

— ისიც ჩემსავით გაოცებულია მზგავსებით,—გაიფიქრა ბატონმა ეინსვორტმა და ბავშვები ოთახის მეორე კუთხეში წაიყვანა, რომ სხვის მწუხარებას ისინიც არ დაეღონებინა. აქ ბავშვებს თავისი შესანიშნავი ნივთები, ნახატები, ყვავილები აჩვენა და ტკბილეულობითა და ხილით გაუმასპინძლდა; დეას კალთაში ხუთ-დოლარიანი ჩაუდო, ესმერალდა ქვაზიმოდოს გვერდით დასდგა და მხოლოდ როდესაც ბავშვებმა თავისუფლება იგრძნეს, სამხატვრო დაზგას ახალი ტილო გადააფარა და ბავშვები სურათის გადასაღებად მოხერხებულ ალაგას დასვა. პირველად ფილიპე ერთ ალაგას ვერ დგებოდა: უნდოდა ენახა—მხატვარი როგორ ხატავს; დეა კი იდგა, როგორც პატარა ქანდაკება; ის შეჩვეული იყო: არა ერთხელ მჯდარა მთელი საათობით მამის წინ, როგორც ნიმუში.

სანამ ბატონი ეინსვორტი ხატავდა და მთლად გართული იყო მუშაობაში, ქალბატონმა ეინსვორტმა სავარძელი ბავშვებთან ახლოს მიიტანა; იჯდა წყნარად და ფილიპეს თვალს არ აშორებდა. ბატონი ეინსვორტი ცდილობდა პირველი მოსვლა, რამდენათაც შესაძლებელია, ბავშვებისათვის სასიამოვნო ყოფილიყო, რომ მათ გულში კიდევ და კიდევ მოსვლის სურვილი გამოეწვია. მუშაობის დროს ბავშვებს იმგვარ რამეებზე ებაასებოდა, რომ ბავშვებიც ჩქარა ალაპარაკდნენ. გამოჰკითხა ბავშვებს, თუ მოქანდაკე როგორ დასთანხმდა გოგონას მასთან გაშვებაზე. რამოდენიმე მოხერხებულად დასმული კითხვის შემდეგ დეა დაბნეულად გამოტყდა, რომ მას სურს უყიდოს მამას ჰაშეტის გამოცემა ჰიუგოს ნაწერებისა და რომ საბრალო მამაც ამიტომ დასთანხმდა და გაუშვა იგი მხატვართან; მამას დიდი ხანია ეს წიგნი ძალიან ენატრებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ დეა თავის მძიმე ბედზე ლაპარაკობდა, ბატონმა ეინსვორტმა ფრთხილად ცოლისაკენ გაიხედა; ის დეას ლაპარაკს ყურს უგდებდა, მაგრამ ფილიპეს თვალს მაინც არ აშორებდა. ქალის სახემ უფრო დაწყნარებული შეხედულობა მიიღო და ისე შეწუხებულად აღარ გამოიყურებოდა.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ მხატვარმა გამოუცხადა ბავშვებს, რომ ისინი თავისუფალნი არიან, როგორც გალიიდან გამოშვებული ჩიტები.

— ჩვენი წასვლის დროა,—ფეხ-ათრევით სთქვა ფილიპემ დი ცნობისმოყვარეობით სავსე თვალები ტილოს მიაპყრა, რომელზედაც მისი და მისი პატარა მეგობრების შემოხაზულობა იყო აღნიშნული.—ძლიერ მინდოდა დარჩენა და ცქერა, მაგრამ დღეს არ შემიძლია. სელინა დამპირდა—ყვავილებს თვალს მივსცემო; ახლა კი უნდა გავიქცე და გავყიდო.

— ჰომოს დაზგას ქვეშ სძინავს,—სთქვა დეამ.—უბრძანე დამიცადოს. ახლა ალბად ფიქრობს, რომ მე არასოდეს არ დავბრუნდები.

— ხვალ ხომ უეჭველად მოხვალთ?—ჯერ ერთს და შემდეგ მეორეს შეხედა და სთქვა ბატონმა ეინსვორტმა.—თქვენ ისე კარგად იჯექით, როცა გხატავდით, რომ აი—ეს თქვენი გასამრჯელო უნდა მოგცეთ.—სთქვა და ბევშვებს თითოთითო ვერცხლის დოლარი გაუწოდა.

— ფილიპემ სიხარულით გაიღიმა.

— გმადლობთ, ბატონო!—წარმოსთქვა მან.—მთელი დღე ყვავილები რომ გამესაღებია, ამდენს ვერ ვიშოვიდი.

დეას სიხარულისაგან სახე უბრწყინავდა. დოლარს ყოველის მხრივ აბრუნებდა და ათვალიერებდა, თითქო თვალებს არ უჯერისო.

— დოლარი—ხუთი ფრანკი!—აღტაცებით იმეორებდა ის.—შეიძლება, ბატონო, დოლარით იმ წიგნის ყიდვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ჩემო ძვირფასო,—არა მგონია. მაგრამ ხვალ მოდი, და ვიფიქროთ, როგორ შეიძლება ეშველოს ამ საქმეს.

— სხვა ჯგუფების მოტანაც შეიძლება, ბატონო, თქვენთან? ნახავთ?— გაუბედავად იკითხა დეამ.—იმათში არის ერთი—„მოლვაწენი“... ძლიერ კარგია.

— მოლვაწენი?

— დიახ, ბატონო,— „მოლვაწე მეზღვაურები“. შეიძლება მოგიტანოთ?

— რასაკვირველია შეიძლება, ჩემო ძვირფასო! დიდი სიამოვნებით ვნახავ. თუ მე არ ვიყიდი, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი იყიდის.

— ის, ბატონო, ძლიერ ძვირად ღირს; მამა ამბობს — ასი ფრანკი ღირსო. დიდია—აი ამოდენა! დეამ ხელები ფართედ გაშალა, რომ მხატვრის თვალ წინ ჯგუფის სიდიდე გამოესახა.

— შენთვის ის დიდია, და მოტანა გაგიჭირდება.

— ფილიპე მიშველის,—იმედიანად უპასუხა დეამ.

— დიახ, მე უშველი. ჯგუფი იმისთვის ძლიერ დიდია, ჩემთვის კი-არა. ახლა კი წავიდეთ—დროა! და ფილიპემ ალერსიანად ქალბატონ ეინსვორტს ხელი გაუწოდა.—ნახვამდის!

ქალბატონმა ეინსვორტმა ბავშვს ხელი ჩამოართვა და თავისკენ მოსწია. ერთ წუთს თვალებში უცქირა, შემდეგ გადაეხვია და გრძნობით აკოცა. დეაც მივიდა გამოსათხოვად; იმასაც აკოცა, მაგრამ არა ისე ნაზი სავსე გრძნობით, როგორც ფილიპეს.

— ძლიერ საყვარელი ბავშვებია,—ღიმილით უთხრა ქმარს ქალბატონმა ეინსვორტმა. ეს მისი პირველი ღიმილი იყო დიდი ხნის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI

მამა ჟოზეფის მსხვერპლი

როდესაც ბავშვებმა ასე იოლად ნაშოვნი ფული სელინას აჩვენეს, კეთილ დედაკაცს სულითა და გულით გაეხარდა და ღიმილით, თეთრი, ბრჭყვიალა კბილების გამოჩენით სთქვა:

— კარგი იქნება, მხატვარმა რომ ჩემი ლილიბელიც დახატოს; მაგრამ ლილიბელი ძლიერ უშნოა! ვერ გამიგია, რატომ გამოვიდა ასეთი უშნო!

— ოჰ, სელინა, შენ ვერც კი წარმოიდგენ—რა კარგი სამყოფია იქ! უთვალავი ნახატები აქვს, და ყველა მისი დახატულია!.. გვთხოვა—კიდევ მოდითო: ცოლმა ორივეს გვაკოცა;—ხომ, დეა?—და ხვალისათვის დაგვიბარა.

— ხვალ „მოღვაწეებს“ წავუღებ,—ბედნიერი ღიმილით სთქვა დეამ.—მხატვარმა მითხრა—ას ფრანკად გაგიყიდიო. საბრალო მამას ისე გაეხარდება!..

— ასი ფრანკი! შენ ბედმა გაგიღიმა, ჩემო საყვარელო. ის ალბად ძლიერ მდიდარია! სანამ შენ დოლარს იშოვიდი, ბატონო ფილიპე, მე აქ ყველა შენი ყვავილები გავყიდე. ახლა შენ სახლში უნდა გაიქცე და უამბო დედას, რაც დღეს შეგემთხვათ. აი, შენი ფულები!

სელინამ გაწვდილ ხელში მთელი მუჭა ვერცხლის ფულები ჩაუყარა.

მიირბინა თუ არა სახლში ფილიპემ, სახლის პატარა ბანზე უსაქმოდ მჯდომი ტუანეტა დაინახა. ტუანეტა არასდროს არ უნახავს მას უსაქმოდ და გაოცებულმა გაიფიქრა—ავად ხომ არ არისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ამბავია, დედილო?—შეშინებულმა ჯერ კიდევ კარგა შორიდან შესძახა მან.

— არაფერი, ჩემო ძვირფასო,—უპასუხა სელინამ ბავშვს, რომელიც ამ დროს შუბლზე ოფლს იწმენდდა.—დღეს სამუშაო არ მაქვს: დავიღალე და ცოტა დავისვენე. მე წინანდებურად მუშაობა აღარ შემიძლია.

— საჭიროც არაა ახლა შენთვის ამდენი მუშაობა, ჩემო დედილო! მე თვითონ კარგად შემიძლია ფულის შოვნა. გამოიხედე აქეთ!—ამ სიტყვებით მან მბზინავი დოლარი გაუწოდა.—ერთი-ორი საათის დგომის ფასია!

— მხატვარი ძლიერ უხვი ყოფილა,—შენიშნა ტუანეტამ.—დეასაც ამდენი მისცა?

— დიახ, დედილო; დეამაც ამდენი მიიღო. ნეტავი გენახა, როგორ დაგვხატა! დეას წითელი კაბა და ჩემი ლურჯი შარვალი ცოცხლად გამოვიდა! როცა ხატვას გაათავებს, წაგიყვან და გიჩვენებ.

— ამ სიშორეზე, ჩემო სიცოცხლევ, რა წამიყვანს. მე იმდენი ძალა აღარ მაქვს, წინად რომ მქონდა. აიღე შენი ფულები და შეინახე: ის შენია.

— არა, დედილო, შენ აიღე: ფული შენია! ყველაფერი, რასაც მე ვშოულობ, ყველაფერი შენია!—გრძნობით სთქვა ფილიპემ.

— კარგი, სკივრში შევინახავ და, როდესაც დაგჭირდება, ამოიღებ. ახლა, შვილო, ყვავილების გადარგვაა საჭირო, და მიშველე. უშენოდ ვერ გავბედე.

— ახლავე, დედილო: ცოტა მოითმინე,—ეს საგარეო ტანისამოსი გავიხადო.

ფილიპე თავის ოთახში გაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა კეთილი გულისაა!—გაიფიქრა ტუანეტამ.—კეთილი, საყვარელი ბავშვი! ვის ეყვარება ისე, როგორც მე მიყვარს?

იგი ნელ-ნელა კიბეზე ბაღში ჩავიდა და თვალებიდან არა ერთი მწარე ცრემლი მოიწმინდა.

ნახევარი საათის შემდეგ თავის საშინაო ტანისამოსში გამოწყობილი ფილიპე, მისი გვერდით სავარძელში მჯდომ ტუანეტას ხელმძღვანელობით გულმოდგინედ ყვავილებს რგავდა.

მიწის თხრაში გართული თავდახრილი ბავშვი წყნარად უსტვენდა. საიდანღაც მშვენიერი ჩიტი დაეშვა მიწაზე და ბავშვის ნიჩბის წინ შეუპოვრად მიწის ქექა დაიწყო.

— დაიკარგე აქედან, მხედარო!—წასჩურჩულა ბავშვმა.—შენთან სათამაშოდ როდი მცალია. სჯობია, რომ ჭიები მოსძებნო!

ჩიტმა მხიარულად შესჭიკჭიკა, ჭიას ნისკარტი სტაცა და იქვე ახლოს ბუჩქზე შემოჯდა.

— აჰა ჩვენი მგალობელიცა! —ერთი წუთის შემდეგ დაიძახა ფილიპემ.—მე ვიცოდი, რომ ისიც მოვიდოდა.

ამ დროს ჰაერში დიდმა ფრინველმა გაინავარდა. ის ტკბილი, მოუსვენარი გალობით ბავშვს ისე ახლოს თავს ევლებოდა, რომ მისი ფრთები ბავშვის თმას ხვდებოდა.

— საკვირველია,—სთქვა ფიქრებში გართულმა ტუანეტამ,—როგორ გეხვევიან ჩიტები; შენი სრულებით არ ეშინიათ.

— ჩემის აზრით იმიტომაა, რომ ისინი მე მიყვარს. ეს იმათ კარგად იციან. ჩვენ დიდი ხანია დაუმეგობრდით ერთმანეთს. ეს ჩვენი სახლია; ჩვენ ყველა ერთ ოჯახს შევადგენთ; შენ კი, ჩემო დედილო, ჩვენი საერთო საყვარელი დედა ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ის, თავდახრილი, მუშაობაში იყო გართული და ტუანეტას თვალებზე მომდგარი ცრემლები არ უნახავს.

წყნარი, მშვენიერი საღამო იყო. ჰაერში ნაზი სურნელება და სასიამოვნო ხმები ისმოდა. მთლად იასამანით და ვარდებით დაბურული, ნახევრად დანგრეული თეთრი სვეტები სადმე ყრუ სოფლის საჩრდილობელ ფანჩატურს მოგაგონებდნენ. დეტრავას ეზოს ნანგრევები ყვავილებითა და ბალახ-ბულახით იყო დაბურული და საშიში და უშნო აღარ იყო. აქ დაძველება—დანგრევას ალაგი არ ჰქონდა. აქ ყველაფერი ნორჩ სიყმაწვილეზე ლაპარაკობდა—საუკუნო, ნორჩ სიყმაწვილეზე. შეიძლება ბავშვმა, ყვავილებმა, მოჭიკჭიკე ჩიტებმა აგრძნობინეს ტუანეტას თავისი უძლური მოხუცებულება და ამიტომ მუშაობისაგან დაკორძებული ხელები მუხლებზე დაეწყო, უმწეოდ იჯდა და სიყვარულით აღსავსე, დაღონებული თვალები ბავშვისთვის მიეპყრა, რომელიც ჭირისა და ზრუნვის არცოდნით ბედნიერი იქვე მუშაობდა.

— უეცრად ზარის აჩქარებული წკარუნი მოისმა, რამაც ფილიპე მუშაობას მოაშორა და ტუანეტა ფიქრებიდან გამოარკვია.

— გაიქეცი, ჩემო სიცოცხლევ, ვიღაცა იჩქარის.

— ტუანეტა ადგა და სტუმრისაკენ გაეშურა.

ეს იყო მამა ჟოზეფი. ის ჩქარა მოდიოდა. მის პატარა, შავ სახეზე მწუხარება და გაოცება იხატებოდა. ერთი ხელით მოწითალო ხელსახოცში შეხვეული რაღაც ნივთი ეჭირა. ის კიბით პირდაპირ მაღლა ავიდა და ნივთი მაგიდაზე დასდო.

— ტუანეტა, ჩემო კეთილო მეგობარო! ფილიპე, ჩემო საყვარელო ბავშვო, ეს თქვენ მოგიტანეთ! აი ჩემი „შვილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი“,—ჩემი საყვარელი ბავშვები!—მტკიცე და თან მწუხარე ხმით ამბობდა ის.

ტუანეტა და ფილიპე განცვიფრებით უყურებდნენ.

— რა მოხდა, მამაო ჟოზეფ?—ამას რისთვის სჩადიხართ?— ჰკითხა ტუანეტამ.

არა, არა, ჩემო პატარა ბიჭიკო: იმან არაფერი იცის.

— მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ გიბრძანა?—ჰკითხა შეწუხებულმა ფილიპემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არა, ჩემო ძვირფასო ბიჭიკო: იმან არაფერი არ იცის. საქმე ბევრად უფრო სერიოზულია. მე სულელი ვიყავი, როცა ვფიქრობდი, რომ არქიეპისკოპოსი ამისთანა წვრილმანი რამისთვის თავს შეიწუხებდა. მას კაცი გამოეგზავნა ჩემთვის: მძიმე საქმეს მავალებდა. მე დღესვე მივდივარ.

— ოჰ, მამა ჟოზეფ, დღესვე? შორს, დიდი ხნით?—დაეკითხნენ ტუანეტა და ფილიპე.

— არაფრის თქმა არ შემიძლია: გემსავით ვარ, რომელსაც დაბეჭდილი ბრძანება მიაქვს. მისი ყოვლადუსამღვდელოესობის რამოდენიმე სიტყვიდან სჩანს, რომ დიდხანს არ მოუნდები ამ საქმეს. მე ახლა ავადმყოფი ძმის ალაგას მივდივარ, და როდესაც მორჩება, ალბად დავბრუნდები.

— ნუ თუ, მამაო ჟოზეფ, თქვენ არ შეგიძლიათ „შვილები“ თან წაიყვანოთ? ეკითხებოდა ფილიპე. უმათოდ ხომ მოგწყინდებათ.

— შვილო, მე შემიძლია მათი წაყვანა და ძლიერ შევწუხდები უმათოდ; მაგრამ ეკკლესიის მსახურს არ შეშვენის ღვთის მსახურებისათვის მგზავრობის დროს თან გალიით თეთრი თაგვები ატაროს.—მამა ჟოზეფმა ნაღვლიანად გაიღიმა.

— თაგვები მხიარული თანამგზავრები იქნებოდნენ და გაგართობდნენ,—თანაგრძნობით წარმოსთქვა ტუანეტამ.

— უბედურებაც ეგ არის. ეს საბრალო არსებანი ჩემ საყვარელ საგნად გადაიქცნენ. მე ისინი ძლიერ შემიყვარდნენ, და ახლა ვხედავ, რომ ჩემ ვალდებულებას გვერდი აუხვიე. მე, ჩემო კეთილო მეგობარო, მთელი საათობით ამათ სხვა-და-სხვა სისულელეს ვასწავლიდი, მაშინ როდესაც ვალდებული ვიყავი ჩემი ძმებისათვის სასარგებლო რამე მესწავლებინა. სიცოცხლე ძლიერ ხან-მოკლეა, რომ უსარგებლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გინდ ერთი საათიც დაიხარჯოს. მაგრამ... მაგრამ ისინი ისეთი საყვარლები, ისეთი მომხიბლველნი იყვნენ და მგონია მართლა უყვარვარ.—ამ სიტყვებით მამა ჟოზეფმა თვალები დაახამხამა, ჩაახველა და თავისი უბრალო ტილოს ცხვირსახოცით ღონივრად ცხვირის სრესა დაიწყო.

— მე მეყვარება ისინი, ძლიერ ვიზრუნებ იმათთვის, და როდესაც დავბრუნდებით, ისევ წაიყვანთ,—ამბობდა ფილიპე მამა ჟოზეფის გასამხნევებლად.

— ვიცი,რომ შენ მოეფერები იმათ; ძალიან მოსიყვრულე გული აქვთ, და მგონია არ დამივიწყებენ. როცა დავბრუნდები, შეიძლება ისევ წავიყვანო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძლიერ არ მეყვარებიან. მე იმათ შენ გიტოვებ; გიტოვებ მანამდი, სანამ დაბრუნებას მოვითხოვდე. ნახვამდის, ჩემო ძვირფასო ბიჭიკო!—იმან ფილიპეს თავისი შავი, გამხდარი ხელი გაუწოდა.—იყავი გამგონე და ბეჯითი და... და... არ დაივიწყო ჩემი „შვილები“.

მას თავის ბალჩისაკენ არც კი მიუხედნია, მიბრუნდა და ტუანეტას თანხლებით ჩქარა კიბე ჩაირბინა.

ფილიპე ისე გაართო გალიამ, რომ ყურადღება არ მიუქცევია სერიოზულ ლაპარაკისათვის, რომელიც ალაყაფის კარებთან მამა ჟოზეფსა და ტუანეტას შორის მოხდა. კარების გაღების დროს მამა ჟოზეფმა სთქვა:

— ქალალდებს ჩემ ქალალდებთან ერთად მეგობარს ჩავაბარებ შესანახად. თუ ჩემ დაბრუნებამდის დაგჭირდეთ, ის მოგცემთ,—და მან მეგობრის სახელი და ბინა დაასახელა.

— იმედი მაქვს, რომ თქვენ დაბრუნებამდის არ დაგვჭირდება; ყველაფერი ისე დაგხვდებათ, როგორც სტოვებთ,— უპასუხა ტუანეტამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე ვიფიქროთ, ჩემო კეთილო ტუანეტა. ჩვენ ღვთის ხელში ვართ. მაშ „ნახვამდის“, და არა „მშვიდობით“.

ფილიპემ მამა ჟოზეფი ეზოს გადაღმა მიმავალი დაინახა და მოაგონდა:

— ვერ ვკითხე მამა ჟოზეფს, რის კითხვაც მინდოდა, და აი ახლა იმის დაბრუნებას უნდა უცადოო?

დათაკო ანთაძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძველი მთავრობა და რევოლიუცია

(დასასრული*)

ველი მთავრობის ყურ-მოჭრილი მონა მინისტრი გორემიკინი დროს არ ჰკარგავდა და ემზადებოდა მუყაითად. სურდა ხალხის გამარჯვებისკენ სიარულისთვის ხელი შეეშალა და მეფის რკინის ფეხის ქვეშ გაესრისა ქვეშერვდომთა ამაყი წადილი. აკი მიაღწია კიდეც. 8 ივლისს სათათბირო დაშალეს, ახალი არჩევნები გამოაცხადეს იმ იმედით, რომ მთავრობის მორჩილთა რიცხვს გაამრავლებდნენ. სათათბიროს დაკეტვას მოჰყვა აჯანყება მუშებისა პეტერბურგში, კრონშტადში, ვიბორგში, რეველში და სხვ. მაგრამ ნაყოფი ვერ გამოიღო. შავი რაზმი უფრო გაიზარდა, გენერალ-გუბერნატორები, პოლიციელები, ჟანდარმები და სხვ. უფრო გაძლიერდნენ, და ჯაშუშ-პროვაკატორები დაეპატრონენ ცხოვრებას. მოწვეულ იქმნა ახალი სამინისტრო სტოლიპინის მოთაურობით, სამინისტრო, რომელიც შავ ლაქად ატყვია რუსეთის ისტორიის ფურცლებს.

სტოლიპინი ხალხს ჰპირდებოდა ცხოვრების განახლებას, და ამ საქმეს გენერალ—გუბერნატორებს და პოლიციელებს აკისრებდა. ცხოვრების „გასაახლებად“ გამოცემული კანონი

*) იხილე „ნაკადული“, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო დამსჯელ ტეროორის შესახებ, ე. ი. სიკვდილით დასჯისა, და ეს სამხედრო—საველე კანონი გამოაცხადა მართვა-გამგეობის მიზან—შეწონილ საშუალებად. ჯარი, პოლიცია, მდიდრები,— აი რას ეყრდნობოდა ძველი მთავრობა. მაგრამ ხიშტები ვერ გამოდგნენ კარგ დარაჯებად, და თოფებზე დადგმულ ტახტს არ ჰქონია სიმტკიცე.

შეიკრიბა სათათბირო, მაგრამ მთავრობა სულს უხუთავს ხალხის წარმომადგენლებს. ხალხი თან-და-თანობით ისევ იჩაგრებოდა, ყოველივე კარგი იდევნებოდა და სიბნელის დამცველებად გამოდიოდნენ მთავრობის კარის-კაცები. მეორე სათათბიროს წევრნიც გარეკეს. მოიწვიეს მესამე სათათბირო, ეს შავ-რაზმთა კლუბი, და ბოლოს მეოთხე სათათბირო, რომელმაც დიდი როლი ითამაშა დღევანდელ რევოლიუციის საქმეში.

დღევანდელმა საკაცობრიო ომმა დიდი სამსახური გაუწია რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას. მან გამოაშკარავა მთავრობის მთელი უძლურება და უნიადაგობა. სულ უბრალო მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებდა ძველი მართველობა. ეს მოთხოვნილება—პატიოსნება იყო. ყოველგვარი ავაზაკობა, ქურდობა და სხ. უმსგავსობა გამეფებული იყო რუსეთში, არა ხალხში, არამედ უმაღლეს წრეებში. „მათი ბრწყინვალებანი“ იყვნენ ეს ავაზაკ-ქურდები, მოღალატე-გამყიდავები. მთავრობამ იცოდა ეს, მაგრამ მალავდა. ამ ომმა ფარდა ახადა რუსეთის სამეფო სახლის საიდუმლოებას და დაგვანახვა, თუ რა სულიერი სიმდაბლე მეფობდა იქ, გვაჩვენა გახრწნილობა მათი, ვინც რუსეთის მშრომელ ხალხის ბედის გადამწყვეტად იყო მოვლენილი. ჩვენ ომამდე ვიცოდით გარეგანი მხარე რუსეთის იმპერიისა, როგორც ჟანდარმული და პოლიციური. მაგრამ არ ვიცოდით, თუ რა ჰხდებოდა შიგ, სილრმეში. თურმე ზნე-დაცემულობა და უსინიდისო სანახაობა ყოფილა იქ დასადგურებული, და თურმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლვინით და გარყვნილობით დამთვრალნი სწყვეტდნენ სახელმწიფო საკითხს.

ველარ გაუძლო ქვეყანამ ძველმა განახლებისა გრიგალის ქროლვას. ველარ გაუძლო, და უწმინდური ტახტი გაიძვერა ძველი მთავრობისა დაემხო უწყალოდ. მოხდა რევოლიუცია, და დღეს ჩვენ ცხიერების ნანგრევებზე ვდგევართ ამაყად. ახალი ცხოვრების შექმნას შეუდექით ხალისიანად. დიდი ხნის განმავლობაში უფრთხილდებოდით ამ დიდ აზრს ცხოვრების გარდაქმნისას, დიდი ხანია ვზრდიდით ჩვენში უკმაყოფილობის ნერგს, და ვცდილობდით ერთად შემოგვეკრიბა ტვირთ-მძიმენი უსამართლობის დასასამარებლად. ამ აზრს შევსწირეთ მთელი ჩვენი ჭაბუკური აღფრთოვანება და დამჯდარი გონიერება.

ამ დიდ მიზნებზე ოცნებობით გვწადდა განხორციელება თანასწორობის, ძმობისა და ერთობისა, და მიტომაც ვერავითარი ძალა ვერ ლაგმავდა მისწრაფებას. პირიქით, ყოველივე ნებისყოფას გვიასკეცებდა და გვიხმობდა ბრძოლისა და სიცოცხლისაკენ. ვერ გასჭრა ვერავითარმა მუქარამ. ციხეში იმედიანად მივდიოდით და ძმებს წარბის შეხრას უკრძალავდით, როცა მათ სახრჩობელასკენ გზას გაუყენებდნენ. ჩვენ ტანჯულ სახეს მუდამ იმედიანი ღიმილი დასთამაშებდა, და სახრჩობელას საშიშროება უფრო გვაქეზებდა ავსულთა ასალაგმავად. და აი შედეგი: პეტერბურგში მეფის სასახლეს სამ-ფეროვან დროშის მაგიერ რევოლიუციის წითელი დროშა თავს დაჰფრიალებს, მეფის სასახლე ციხედ ქცეულა, და „მათი უდიდებულესობანი“ პატიმრის ცხოვრებას ეწევიან. ხოლო გუშინდელი პატიმარნი შებორკილნი რომ ნატრობდნენ მზის დანახვას, დღეს ცხოვრების სათავეში მოქცეულან; აღმართს ძველი ცხოვრებისას თავისუფალი და ადვილი დაღმართი მოჰყვა, და ჩვენც აკი თავისუფლად მივექანებით თავისუფლების წალკოტისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ახალი მოწოდება თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ უდებენ საფუძველს ახალ სახელმწიფოებრივ შენებას რასაც კი ეყრდნობოდა ძველი, ბიუროკრატიული სჯულდება, ყველა ის დღეს ისპობა და უნდა მოისპოს სავსებით. ახალ გეგმაზეა საჭირო ცხოვრების აშენება. ყოველივეს საფუძვლად გონიერება უნდა დაედოს. ძველი პოლიციური მინისტრები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ ჩაეკლათ თაოსნობა, თავისუფალი აზრი.

რევოლიუციონერმა მინისტრებმა უნდა, წინააღმდეგ დიდი თავისუფლება მიანიჭონ კერძო თაოსნობას, უნდა გაანთავისუფლონ პიროვნება, ანუ პიროვნების თავისუფლება უნდა დააკანონონ მტკიცედ. დღეს რევოლუციის ნანგრევებზე გადმოვლილთ, ცხოვრება ახალ საკითხებს გვიდგენს. ჩვენც რევოლიუციის პირით ღირსეულად უნდა უპასუხოთ. ძველით იმიტომ ვიყავით უკმაყოფილო, რომ იქ ჩვენი უფლებები ითრგუნებოდა. არც ადამიანს, არც ერს არ ჰქონდა ნება ეთქვა გულის საწადელი, გადაედგა ნაბიჯი, რომელიც მათ ცხოვრების გაუმჯობესებას ჰგულისხმობდა. დღეს კი მოქალაქის და ერთა უფლებები უნდა აღვიაროთ და დავადგინოთ. უნდა მოხდეს სრული განთავისუფლება პიროვნებისა და ეროვნებისა. ძველი ცხოვრება რომ ყრუ იყო ცხოვრების ძახილისთვის—ახალმა მეტი მახვილობა გამოიჩინოს. ძველი თუ ხშირად მუნჯი იყო, ახალმა ცოცხალი პასუხი უნდა გასცეს ჩვენს არსებობას. და ძველი წყობილების მსხვრევა ხომ იმიტომ მოხდა, რომ ადამიანი და მოქალაქე ვერ ჰპოულობდა მასში თავის უფლებების აღმსარებელს, მისი ადამიანობის დამცველს და დარაჯს. და ცხოვრების სიღრმეში სდუღდა უკმაყოფილება, გროვდებოდა პროტესტი. დღეს კი მეტყველმა სიცოცხლემ იწყო დაკმაყოფილება დიდი ხნის წყურვილისა.

მპყრობელობის და ქვეშევრდომობის პრინციპზე აგებული სახელმწიფო დღეიდან თანასწორობის პრინციპზე უნდა იქმნას დადგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი ძალები, დღემდე კარ-ჩაკეტილნი, დღეს კი სამოქმედოდ გამოსულნი, სცდილობენ სავსებით დააკანონონ ხალხის უფლება.

ეს სხვათა შორის შედეგია არა ჩვენი გულ-ჩვილობის და სიბრალულისა, არამედ ამას მოითხოვს ჩვენი გონიერება, ჩვენი აზრი, მეცნიერულად გარკვეული და გამტკიცებული.

ეს ახალი შეგნება სპობს ყოველგვარ კარ-ჩაკეტილობას, უსწორ მასწორობას, შეეხება ეს პიროვნებას, თუ ეროვნებას. განთავისუფლებული რუსეთი ყოველგვარ ბატონობაზე უარს ამბობს. მაშასადამე თავისუფლება უნდა განხორციელდეს სავსებით.

.რუსეთის სახელმწიფო ერთ-გვარი არ არის. იგი კრებულია ერებისა, და რუსეთის მოქალაქეც წევრია ამა თუ იმ ერისა. მოქალაქის თავისუფლება სრული არ იქნება, თუ იგი არ განთავისუფლდა, როგორც შემადგენელი ნაწილი ამა თუ იმ ერისა. ეს კი ერთა განთავისუფლებასაც მოითხოვს. ერთა სწორუფლებიანობის გამოცხადება ხდება აუცილებელი.

თავისუფლება პიროვნებისა, თავისუფლება ეროვნებისა და სახელმწიფოსი, აი სამი რამ, რასაც უდიერად სთელავდა ძველი პოლიციური მთავრობა. ამ სამივეს განთავისუფლება იქნება პირველი ნაბიჯი, რუსეთის მიერ გადადგმული ახალ ცხოვრებისაკენ.

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? როგორი წყობილებაა საჭირო, რომ ეს პირველი ნაბიჯი გადავდგათ?

დღეს მეცნიერულად დასაბუთებული და მიღებულიც არის ეგრ'ედ-წოდებული ფედერატიული წყობილება. ეს ყველაზე ხელ-საყრელი, სამართლიანი და რუსეთისთვის მართლა ზედ-გამოჭრილი რამ არის. ამ ფედერაციაში ჩამოიქნება საერთო ნებისყოფა რუსეთის ერებისა, რომლის გამომხატველიც იქნება დემოკრატიულ-ფედერატიული რესპუბლიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ აქ იქნება დაცული ერთა შორის ძმობა და ანასოვანი წორობა.

დღევანდელ რევოლიუციაში ჩვენცა ვართ ჩაბმულნი, არა უსახოდ, არამედ როგორც ქართველობა.. მაშასადამე ჩვენ, როგორც ქართველობა, უნდა ვცდილობდეთ რევოლიუციის გამტკიცებას, გაღრმავებას, რადგან მასშია ჩვენი ხსნა. ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ კი არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი კერძო, ქართული საქმე. იმასაც უნდა მივხედოთ, განთავისუფლებულ რუსეთის სამსხვერპლოზე ჩვენც ბევრი მსხვერპლი მივიტანეთ, მაშ უფლებაც გვაქვს მოვითხოვოთ ჩვენი წმინდა უფლებანი.

ჩვენ გვსურს თავისუფალ რუსეთში თავისუფალი საქართველოც ყვავილობდეს, ლაღობდეს, და თავისებური ხალისიანობით მიდიოდეს ეროვნული გზით საერთაშორისო სამართლიანობისაკენ.

რა გზა არის ეს გზა, ამაზე შემდეგ გამოგესაუბრები, ჩემო პატარა მკითხველო ამხანაგო.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საურთიერთო დახმარება

ხოველთა შორის საზოგადო ცხოვრება და საურთიერთო დახმარება დიდად განვითარებულია. საზოგადო ცხოვრებას არ მისდევენ მხოლოდ მტაცებელ ცხოველთა ზოგიერთი, სხვებზე უფრო ბოროტი ჯიშები. სხვა-და-სხვა ქვეყნებში ჯოგებად ცხოვრობენ: ირმები, შვლები, ველური ცხენები და კამეჩები. როცა ევროპიელები ამერიკაში გადასახლდნენ, ამ ახალ ქვეყანაში თვალწინ წარმოუდგათ დიდებული სურათი ცხოველების საზოგადო ცხოვრებისა. პირველი კოლონისტები წააწყდნენ იქ კამეჩების ვეება ჯოგებს; ზოგჯერ ორი სამი დღის განმავლობაში ამ ჯოგების განუწყვეტელი რაზმები გზაზე ელობებოდნენ და ევროპიელებს მგზავრობას უშლიდნენ. როდესაც რუსებმა ციმბირი დაიპყრეს, იქ აუარებელი ჯოგები აღმოაჩინეს ირმების, შვლების, თრითინების და სხვა ცხოველების, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, საურთიერთო დახმარებით უდგიათ სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზიისა და აფრიკის ტყეებსა და მინდვრებში აუარებელი ჯოგებია სპილოების, მარტორქებისა და მაიმუნების. ეს ძუძუ-მწოვარა ცხოველებიც ერთად ცხოვრობენ თემებად, ჯიშებად არიან მხოლოდ დაყოფილნი. თვითეულ თემში რამდენიმე ასი და ათასი ცხოველი იყო პირველ ხანებში.

სამწუხაროდ ცხოველების ამ დიდათ საყურადღებო და სასიამოვნო წყობილებას დიდი ვნება მოუტანა ადამიანმა, მისმა თოფმა, ცეცხლმა და მახვილმა. კაცის სისასტიკემ გაანადგურა ცხოველების ვეება საზოგადოებანი და ახლა მათი ჯოგები მრავალ-რიცხოვანი არ არიან.

ცხოველთა შორის მხოლოდ კატის ჯიშის ძუძუ-მწოვარნი ბინადრობენ განმარტოებით: ლომები, ვეფხვები და ჯიქები. ისინი ცალ-ცალკე ოჯახებად და პატარ-პატარა ჯგუფებად ცხოვრობენ.

ყველამ კარგად იცის, რომ მგლების ხროვა—საურთიერთო დახმარებაზე დამყარებული საზოგადოებაა. მგლები ხომ ველური ძაღლები არიან, მახვილი გონებით განთქმული ცხოველები.

მგლებმა კარგად იციან, რომ მხოლოდ შეთანხმებული ძალებით, საურთიერთო დახმარებით შეიძლება ცხოვრების გაადვილება. მწერალმა მოგვითხრო საყურადღებო ამბავი მგლების გამჭრიახობისა და წინდაწინ მოფიქრებული საურთიერთო დახმარების შესახებ. ერთ მაღალ მთაზე მინდვრად ბალახს სძოვდა ძროხებისა და ხარების ჯოგი. ამ მთის ერთ მხარეზე ფრიალო კლდე, უფსკრული იყო. მგლების ხროვა ფარულად მიუახლოვდა ჯოგს სწორედ იმ მხრიდან, სადაც მას გაქცევა შეეძლო. მგლები ერთბაშად გამოცვივდნენ სხვა-და-სხვა მხრიდან და საშინელი ყეფა ასტეხეს. შეშინებული ჯოგი უფსკრულისაკენ გაექანა და შიგ გადიჩეხა.

ტურები განთქმულნი არიან გაბედულობით და გონიერებით. ისინი ერთად ცხოვრობენ და ნადირობენ. საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირმა იმათ იმდენი ძალა შეძინა, რომ თავისი მოსისხლე მტრების, დიდი მხეცების, არ ეშინიათ. მელიები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მაგრამ ისინიც ნადირობის დროს შეერთდებიან ხოლმე საურთიეთო დახმარებისათვის, რადგან ამ გონება-გამჭრიახმა ცხოველებმაც კარგად იციან კავშირის მნიშვნელობა.

ეშმაკი და ჭკვიანი მელიები ნაყოფიერი ნადირობის შემდეგ თავის ნადავლს სადმე მყუდრო, მიმალულ ადგილას მიწაში ფლავენ, ან სადმე განმარტოებულ, მიუვალ კლდის წვერზე ინახავენ. ერთმა მონადირემ აგვიწერა საუცხოო სურათი მელიების საერთო სადილისა. ერთი მელია მაღალი კლდის წვერზე, აცოცდა, სადაც მათ საერთო ძალ-ღონით შეგროვებული სანოვაგე ჰქონდათ შენახული. დაბლა, კლდის ძირში. ამ მელიის ამხანაგები იყვნენ თავმოყრილნი. მაღლიდან მელია ძირს უყრიდა საჭმელს თავის ამხანაგებს. ისინი ძმურად ერთმანეთში ინაწილებდნენ.

თრითინებს განმარტოებით ცხოვრება უყვართ. ისინი ცალ-ცალკე ოჯახებად ცხოვრობენ. მაგრამ იმათ შორისაც მეცნიერებმა შეამჩნიეს ერთი საინტერესო მოვლენა: თრითინების შვილები, როცა წამოიზდებიან, დედმამას არ შორდებიან, მათთან ერთად ცხოვრობენ და საერთო ძალ-ღონით სწევენ ცხოვრების უღელს. ცალ ცალკე ოჯახებად დაყოფილ თრითინებსაც მუდმივი მ-მოსვლა აქვთ ერთმანეთთან; როცა ტყეში სანოვაგე გამოელევათ, საერთო შეთანხმებით სტოვებენ ამ ადგილს და, მრავლად თავმოყრილნი, სხვა, უფრო კარგი ადგილის საძებრად გაუდგებიან ხოლმე. არის ერთი ჯიში შავი თრითინებისა, რომლებიც ჩვეულებრივ ცალ-ცალკე ოჯახებად ცხოვრობენ, დროს გასატარებლად კი ერთად გროვდებიან. მრავლად თავმოყრილი თრითინები ცელქობენ, თამაშობენ, ერთ მხიარულ ალიაქოთს ასტეხავენ ხოლმე. ეს თრითინებიც გადასახლების დროს ერთად არიან თავმოყრილნი, რადგან კარგად იციან, რომ გზაში ბევრი საფრთხე მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით. მათ კვალ-და-კვალ მისდევენ მოსისხლე მტრები— მელიები, დედოფალები, შევარდნები. ესენი ერთად დარაზმულ პაწია თრითინებს ვერაფერს აკლებენ,—ეშინიათ მათი ძლიერი კავშირისა, და მხოლოდ ჩამორჩენილებს ჩაავლებენ ხოლმე თავის ბასრ კლანჭებს. არის ერთი ჯიში თრითინებისა, რომელიც საერთო ძალ-ღონით აგროვებს სანოვაგეს, მიწაში გათხრილ მიხვეულ-მოხვეულ სოროებში ინახავს და საჭიროების დროს ერთმანეთში ინაწილებს.

ყველა იცნობს პაწია ცხოველს—თრიას, რომელიც ცალკე ცხოვრობს, ბინა სხვებისაგან ცალკე აქვს, მაგრამ თრიების ბინები მრავლად და ერთმანეთზე ახლოს არიან. ათასობით თავმოყრილ თრიების თამაში რაღაც ზღაპრული, თვალწარმტაცი მოვლენაა. პაწია ცხოველები აღტაცებით ცელქობენ და ხტუნავენ. ამ დროს მათ შორის ზოგიერთები მუსიკოსების მაგიერობას უწევენ: მამალი თრიები მჭახე ხმით სტვენენ, დედლები-კი უფრო ნაზი ხმით ბანს აძლევენ.

მთელ დედამიწაზე ცხოველთა ცხოვრება, როგორც დავინახეთ, დიდათ საყურადღებო კავშირზე, ჭირსა და ლხინში ერთობაზეა დამყარებული.

ილია ნაკაშიძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუთი კვანძი ერთ სიტყვაში

გ ა მ ო ც ა ნ ა

ძველად თამარ ტ—ნ ასულ ს.

შესავალი

ანით—მეტად საჭიროა
ყველა ცხოველ არსისათვის;
უთანოდ კი—ულიამო
მთელი ქვეყნის მეტყველთათვის.

ორი ასო რო მოაკლოთ
იმ ერთ სიტყვას ხუთ-ასოვანს,
ნახავთ მხოლოდ სამსა ასოს,—
ერთს უხმოს, და ორსა ხმოვანს;

წაიკითხავთ, მაგრამ აქაც
თქვენ სამ აზრსა შეეყრებით:
ერთი ისე მწვავე არის,
რომ ხელით ვერ შეეხებით;

მეორე კი—სახელია
მუსულმანის, თუ არ ვსცდებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამეა მეტად მალი
თვით ეშმაკზეც, შედარებით.

თითქმის ავხსენ არსებითად,
ვამბობ მხოლოდ არეულად;
ასეთია მისი არსი, რომ
ლანდს უსწრობს ცქვიტად, ბრძნულად,
ისე ჩქარობს გარეგნულად.

ვერც დიდი და ვერც პატარა
ამის მზგავსი ვერვინ არის;
ლამის დღეი გამიმწაროს,—
ისეთი რამ ურცხვი არის.

არც დღე სძინავს, არც თუ ღამე,
ლალის მზგავსი ფერი დაჰკრავს;
იცოდე, თუ წაეკარე, —
არ დაგინდობს, მთლად დაგნაცრავს.

დასკვნა

ველარ მიხვდი?.. მე რა გიყო?..
ამდენსაც კი არ გეტყოდი...
მეტად კარგი რომ არ იყო!..

ჰა! კვლავ გეტყვი ერთ-ორ სიტყვას,
ეგებ უფრო შემიყვარო...
გამოცანის კვანძს მიაგნო,
და მით გული გამიხარო.

აბა კარგად დააკვირდი...
მიაყოლე გულის ყური...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთსა პწკარსა, ხუთი ასო,
თითოს თითო სათაური—

მთლიანს ახსნის გამოცანას,
თუ გულდასმით გადიკითხავ;
შემდეგ იქვე ჩაყოლებით
მეორე **ოთხს** წაიკითხავ...

და კიდევ თუ ჩაჰყვები ძირს,
სამ-ასოვანს ნახავ სიტყვას,
მით მთლად ახსნი გამოცანას...
თანაც დაისწავლი კითხვას.

ასე რაჭველი

რებუსი

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილის მიერ)



„ ქართველი მეცნიერი. „ ქალის სახელი. „ ,ს



(ნახე მე-64 გვერდი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა





მე-3 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა.

მიყვარხარ, ტკბილო კახეთო, დედაბიბლიოთეკის ქალაო!

სარედაქ. ნინო ნაკაშიძე. გამომც. ფ. პ. ი. თუმანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის.

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეცამეტე. **„ნაკადული“** წელიწადი მეცამეტე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯელ

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან.—იმათ. თვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6** მანნახევარ წლით—**3** მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—**3** მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—**3** მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. №8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ტნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. ოზურგეთში—სალომე ხუნდაძესთან, ლანჩხუთში მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი ტ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.